# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

№ 10 (5611)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილმა მოიფიქრა, როგორ გაიხანგრძლივოს ყოფნა ხელისუფლების სათავეში

10



სხვა გაზეთიდან

12

## კახა კალაძე: „აბრამოვიჩი ბევრს მპირდებოდა“...

ქვეყნის კარდიოგრამა

2

## ვინ უფრო ზრუნავს თავის ხალხზე: რუსეთისა თუ ჩვენი ხელისუფლება?!

პრობლემა

2

## დევნილ მეცნიერებს ისევ დევნიან

SOS!

3

## ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს გასცდა!

## ჟიული შარტავას რუსთაველშიც დაახვედრეს მეთვალყურე აგენტები

4





## სტალინი ცოცხლობდა – სტალინი Live – სტალინი იცოცხლებს

14

№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

**გაზზე ტარიფის ზრდამ ალაშფოთა „ახალი მემარჯვენეები“. ისინი ფიქრობენ, რომ წინასაახალწლოდ ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა. მთავრობის დაპირება გაზრდილი ტარიფის სუბსიდირებით დაფარვის შესახებ, სიცრუე გამოდგა**



◎ მთავრობა

# „მიწისქვეშეთის“ ხელისუფლება და მოტყუებული ხალხი

**საქართველომ მიაღწია შეთანხმებას, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა მთლიანად აზერბაიჯანული ფულით დაფინანსდება. გუშინდელი მთავრობის სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებს ეს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ განუცხადა. მისი თქმით, ეს არის 25-წლიანი პროექტი გახანგრძლივების შესაძლებლობით, სიმბოლურად კი — ერთპროცენტიანი კრედიტია, ანუ სახელმწიფო დამატებით ხარჯს არ გადაიხდის.**

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მშენებლობას მნიშვნელოვანი უწოდა, ის ხიდი იქნება ევროპასა და აზიას შორისო.

მთავრობის სხდომამ მოიწონა საქართველო-აზერბაიჯანს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მშენებლობისთვის 300 მილიონი დოლარი გამოიყოფა.

თბილისის მერიამ მთავრობას ქალაქის სხვადასხვა უბანში ტერიტორიების იჯარით გაცემის თხოვნით მიმართა. უახლოეს ორ კვირაში გამოცხადდება კონკურსი სიონის ქუჩაზე 43 $м^2$ ფართობის, ბამბისა და რკინის ქუჩების გადაკვეთაზე, რესტორან „მეიდნის“ სიახლოვეს მდებარე 330 $м^2$ მიწისქვეშა ფართის გასხვისებაზე. გასხვისდება, აგრეთვე, ბარათაშვილის ქუჩაზე 60 $м^2$ ფართობის მიწა.

თბილისის ვიცე-მერის მამუკა ახვლედიანის თქმით, ბარათაშვილისა და სიონის ქუჩაზე კონკები მოეწყობა. აქ ოდითგან არსებობდა კონკა. სიონის ქუჩაზე ეს ახალი პროექტია. ხოლო მის წინ მდებარე მოედნის განკარგვა მიწისქვეშა ავტოსადგომისთვის იგეგმება.



მთავრობის სხდომაზე ბუნებრივ გაზზე გადასახადის მომატებაზეც იმსჯელეს. სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის თქმით, გაზზე გადასახადის მომატება სხვა ქვეყნებიდან ძვირად შესყიდულმა ბუნებრივმა გაზმა განაპირობა. მისი თქმით, კრედიტი ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს, კრედიტს ტარიფთან კავშირი არა აქვს.

გაზზე ტარიფის ზრდამ ალაშფოთა „ახალი მემარჯვენეები“. ისინი ფიქრობენ, რომ წინასაახალწლოდ ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა. მთავრობის დაპირება გაზრდილი ტარიფის სუბსიდირებით დაფარვის შესახებ, სიცრუე გამოდგა. მამუკა კაციტაძის თქმით, გაზის ტარიფის მომატება ხელისუფლების ბრალია. „ეს განკარგულება მისი უპასუხისმგებლობის დამადასტურებელია“, — თქვა მან.

უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ „მემარჯვენეების“ ამ განცხადებას უპასუხისმგებლო უწოდა: „ისინი ყველაფერში ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების თეორიებს ეძებენ“, — თქვა მან, — ოპოზიციას შეუძლია ასეთი არაკვალიფიციური განცხადებები გაავრცელოს და თქვას, რომ ხელისუფლება კი არ ზრუნავს ხალხზე, არამედ „მემარჯვენეები“ — მემარცხენე პოზიციიდან“.

ცხადია, ნადირაძე ამ შემთხვევაშიც მშვენივრად პოზიორობს და, როგორც ყოველთვის, ხელისუფლებას ამართლებს. ხელისუფლებამ კი წინასაახალწლოდ საჩუქრად ხალხს წყალზე ტარიფის გაორმაგება მიართვა. მაშინ გაზის თემას თავი აარიდა და ხალხი, მართლაც, რომ მოატყუა, დაამშვიდა, ნუ გეშინიათ, წყალს გავაძვირებთ, გაზზე კი ძველი ტარიფი დარჩებაო. ახალი წლის ზეიმების შემდეგ გაცხადდა დაფარული — გაზზე გადასახადიც მოიმატებს.

ხალხმა კი, თუ უნდა თავი ქვას ახალოს...

**ნატა ნიბლაძე**

◎ ქვეყნის კარდიოგრამა

# ტორიჩელის სიცარიელე

## ვინ უფრო ზრუნავს თავის ხალხზე: რუსეთისა თუ ჩვენი ხელისუფლება?!

**ხალხის აზრის გაგების სხვადასხვა მეთოდია შემუშავებული. ერთ-ერთი ასეთთაგანი გამოკითხვაა. მასაც თავისი სპეციფიკა აქვს — არეალი, სოციალური ჯგუფები და ა. შ. ყველაზე მარტივი კი, ალბათ, ესაა: დასვი შეკითხვა საიტზე და, ვინც გამოეხმაურება, აღნუსხე. ოღონდ, ასეთი გამოკითხვის დროს, სოციოლოგთა თქმით, სწორედ ის, ზემოაღნიშნული სპეციფიკა იკარგება, რაც საზოგადოებრივი აზრის რაც შეიძლება ზუსტად გაგებას შეუწყობდა ხელს.**

გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ (№1, 2007 წ.) იმის გასაგებად, თუ რამ გაახარა და რამ დაამწუხრა რუსეთელები 2006 წელს, სწორედ ზემოთქმული მარტივი ხერხი აირჩია, 4309 გამომხმაურებლის პასუხების მიხედვით გრაფიკული დიაგრამა შეადგინა და მას „ქვეყნის კარდიოგრამა“ უწოდა. დიაგრამა ორადაა გაყოფილი: ზედა ნაწილში ის მოვლენებია ასახული, რამაც გაახარა რუსეთელები, ქვედაში — რამაც დაამწუხრა.

ბევრი პიროვნითობის მიუხედავად, ალბათ, დამაფიქრებელია, რომ გამოხმაურებულთა 98 პროცენტს გახარებია შამილ ბასაევის დაღუპვა, ხოლო საღვთო რჯულის სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღება — მხოლოდ 35 პროცენტს;. პოლიტკოვსკაიას მკვლელობას მათი 68 პროცენტი დაუმწუხრებია, ქვეყანაში შექმნილ ალკოჰოლურ კრიზისს კი — 60. მაშ, არაყსა და ადამიანის სიცოცხლეს შორის განსხვავება სულ რაღაც 8 პროცენტი ყოფილა.



ჩვენთვის, ქართველთათვის, ამ „კარდიოგრამაში“ საყურადღებო ორი რამაა: გამოხმაურებულთა აზრი საქართველოდან ღვინის შეტანის აკრძალვასა და საქართველოსთვის ბლოკადის გამოცხადების თაობაზე.

ამ, ფაქტობრივად, მიზეზ-შედეგობრივი მოვლენის ორად დაყოფა, ჩემი აზრით, უკვე ხელოვნურია, მაგრამ, რუსის ფსიქიკის მცოდნე რუსმა უკეთ უწყის, რა ჰკითხოს თანამემამულეს, თორემ ღვინოსთან ერთად, ხომ მინერალური წყლებიც აკრძალეს. მერე მოჰყვა ამას მწვანილი, ციტრუსი და, საერთოდ, ბლოკადაც.

ღვინის შემოტანაზე აკრძალვას გამოხმაურებულთა 28 პროცენტი დაუმწუხრებია. ეს მაჩვენებელი, ცოტა არ იყოს, საეჭვოა — თუ ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელების კრიზისმა მთელი 60 პროცენტი დაამწუხრა, ამ კრიზისის ერთი, შესაძლოა მცირე, მაგრამ მაინც მიზეზი ხომ ქართული ღვინოების შეტანის აკრძალვაცაა?!

მაგრამ ეს იქით იყოს, ღვინოს ხომ მისტირიან, 34 პროცენტს მაინც ძალიანაც გახარებია... საქართველოსთვის გამოცხადებული ბლოკადა. ერთი იმ პიროვნითად გამოკითხულთა ტვინებში ჩამახედა. თუმცა, აქვს კი აზრი, აზრის ძებნას იქ, სადაც ტორიჩელის სიცარიელეა? აი, მესმის გაბოროტება, ღვარძლი, პრიმიტიულ ლოგიკასაც რომ გადაფარავს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში 150 მილიონამდე რუსია და 4309 გამოხმაურებულის აზრს მათზე გადავანაწილებთ, ასეთი ძმედების მთელი პიროვნითობის მიუხედავად, მათს აზროვნებასა და ლოგიკაზე, ჩვენს მიმართ განწყობაზე, სახარბიელოსა და სანუგეშოს ძნელადღა იტყვის რასმე კაცი.

დაბოლოს, ჩვენთვის კიდევ ერთი საყურადღებო რამ: გამოხმაურებულთა 91 პროცენტს ძალზე გახარებია, რომ უკვე მეორე ბავშვის გაჩენისთვის სახელმწიფო ოჯახს 250 000 რუბლს უხდის. „კარდიოგრამაში“ არაა მოხსენიებული მე-3, მე-4 და ა. შ. ბავშვებზე რამდენს გადაუხდის სახელმწიფო ოჯახებს, მაგრამ იგულისხმება, რომ — სულ უფრო მეტსა და მეტს. ასე უნდა იყოს, თუ სახელმწიფოს მართლაც სურს ერის გამრავლება.

ჩვენთან რა ხდება? თითქმის დაიხურა ყველა სოციალური პროგრამა. სახელმწიფომ — „ეროვნულმა“, „დემოკრატიულმა“, „სახალხო“ ხელისუფლებამ ლამის ჭია-ღუასავით გაგვსრისოს. მრავალშვილიან ოჯახებსაც ის ძვალივით გადაგდებული ე. წ. დახმარებაც კი წაგლიჯა.

ახლა კი გეკითხებით, ვინ უფრო ზრუნავს თავის ხალხზე, ერის გამრავლებაზე რუსეთის ხელისუფლება და მთავრობა, თუ ჩვენი?

ეგებ, ჩვენც შევადგინოთ ჩვენი ქვეყნის „კარდიოგრამა“?!

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ სიცრუე

# ვაიმე, დედა, ყელამდეო...

## შეღავათებს აუქმებენ, მაგრამ გვიმტკიცებენ, ვაწესებთო

**საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მაისის დადგენილებით, მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები ომის მონაწილეებს, დევნილებს, პირველი ჯგუფის ინვალიდებს, ყოფილ სსრკ-ს სოციალისტური შრომის გმირებს, დავით ალმაშენებლის ორდენის კავალრებს, ობოლ ბავშვებს, პერსონალურ პენსიონერებს, თავდაცვისა და შს სამინისტროების მუშაკებს ჰქონდათ.**

ახლა ამ შეღავათებით სიღარიბის დაძლევის საიდენტიფიკაციო პროგრამაში მყოფი პირები ისარგებლებენ. თანაც, მხოლოდ ისინი, ვისაც 70000-ზე ნაკლებ ქულას დაუდგენენ.

არც ამ პროგრამისა ვიცი რამე და არც მათი „ქულაობისა“, მაგრამ ისედაც ცხადზე უცხადესია — უზომოდ გაზრდილი გადასახადების ფონზე, ხელისუფლება გველის ტყავში ძვრება, ოღონდ კი რაც შეიძლება გამოხშიროს შეღავათების მქონეთა ისედაც მცირე ოდენობა. თანაც, რა შეღავათებია ეს? თუ ადრე ეს კატეგორია მეტროთი თუ სხვა მუნიციპალური ტრანსპორტით მუქთად მგზავრობდა (მათ ეს მცირედი დაიმსახურეს), ახლა საფასურის 50 პროცენტი უნდა გადაიხადოს. მერედა, ამას შეღავათის დაწესება თუ გაუქმება ჰქვია?! იმ ავადსახსენებელ პროგრამაშიც — ჯერ მოსახვედრად, მერე კიდევ 70000-ზე დაბალი ქულის „ასაქაჩად“, რა ცოდვის ტრიალი იქნება, ყველა, ვისაც კი რაიმე ე.წ. სახელმწიფო სოციალურ პროგრამებთან მიუსუნია, მყისვე იგუმანებს და, შესაძლოა, სათოფეზეც აღარ გაეკაროს.

ესეც შენი დამატებით „გამოთავისუფლებული ადგილები...“

ვინც მედგრად დადგება და სანუკვარ ქულებს მოიპოვებს, მეტროში მხოლოდ მათთვის განკუთვნილი მოყვითალო-ნარინჯისფერი ჟეტონის 10 თეთრად შესაძენად, შესაბამისი პლასტიკური ბარათი და პირადობის მოწმობა უნდა წარადგინოს. მერე ეს ბარათი მეტროს კონტროლიორს უნდა უჩვენოს და მხოლოდ მის ჯიხურთან მდგარ ავტომატში ჩააგდოს ნანი-ნანატრი მოყვითალო-ნარინჯისფერი ჟეტონი.

ღმერთმანი, ასეთი კონტროლი, ალბათ, ჩვენი პრეზიდენტის კანცელარიაში შესასვლელადაც არაა დაწესებული. ახლა უთავბოლობა? ვთქვათ, ხალხნი ვართ, პირადობის მოწმობა დაგრჩა შინ? ან პიკის საათებში რამდენი, ძირითადად მოხუცი მიხორხორდება იმ კინკილა ავტომატთან?! ერთი ამ ე.წ. შეღავათების შემოქმედნი მანახა ამ რიგებში გაჭყლეტილი!

მაშ, შეღავათები კი არ წესდება, ფაქტობრივად, უქმდება, მაგრამ ხელისუფლება ამას მაინც „დაწესებას“ არქმევს. ჩვენ კი, „სურამის ციხის“ ზურაბსავით, უკვე მართლაც ყელამდე ვართ...

**კოტე სარალიძე**

◎ შეწევნის მაგივრად

# დევნილ მეცნიერებს ისევ დევნიან

## ეგებ ინებოს შეწყნარება უფალმა ლომაიამ

**აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ქუჩაში რჩება! მხცოვანი, დევნილი მეცნიერები ათიოდე წლის წინათ ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ „ახალი დროება“ ასე ულმობლად მოექცეოდა და, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ორ ციცქნა ოთახში შეხიზნულთ, იქიდანაც გამოდევნიდა.**

**ახალი წლის საზეიმო განწყობილება უმალ გაუქრათ, როცა კი იანვრიდან ინსტიტუტში მისულთ შუქ-ჩაქრილი, გამოციებული ოთახები დახვდათ. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის შოთა გოგოხიას აზრით, ამ შენობაში ათი წლის განმავლობაში ინსტიტუტის ძველი ხელმძღვანელობისგან მათ პრობლემა არ შექმნიათ, მუშაობაში ყველანაირად ხელს უწყობდნენ, მაგრამ ინსტიტუტის ახალმა ხელმძღვანელობამ, თურმე, ოფიციალური წერილით, მიმართა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას და, სინათლის ფულის გადაუხდელობის გამო, შენობის დატოვება მოსთხოვა.**

**აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები გამოსავლის საპოვნელად შეიკრიბნენ. პრობლემის მოგვარებაში დახმარებას შეპირდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელმწიფო მრჩეველი ლორიკ მარშანია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკაკი გასვიანი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სერგი საჯაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, დეპუტატი თამაზ ხუბუა.**

**გაირკვა, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი უშუალოდ დამოკიდებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრ კახა ლომაიაზე, რომ, თურმე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შენობაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს.**

**ბატონი თამაზ ხუბუა დაპირდა მეცნიერებს, რომ მათ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან და მთავრობასთან უშუამდგომლებს პრობლემის დადებითად მოსაგვარებლად. მისი აზრით, არც მინისტრი ლომაია დატოვებს უგულისყუროდ აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა თხოვნას და მათ ერთ ოთახს არ დაამადლოს.**

**აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია სერიოზული სამეცნიერო კერაა, იგი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მძლავრი ბურჯია, რომელიც სოხუმში დაბრუნების იმედს აასმაგებს. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა ნელ-ნელა ზემო აფხაზეთში მკვიდრდება. აპრილ-მაისში იგეგმება აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოში გადაყვანა. მანამდე კი... რამდენიმე თვეღა დარჩა.**

**იმედია, მეცნიერებისა და განათლების მინისტრი აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების თხოვნას შეიწყნარებს და მათთვის თბილისში ერთი ოთახი აუცილებლად გამოინახება.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

# ქვეყანა

**ამჟამად ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი სამ მილიარდ ლარზე მეტია. მიმდინარე წლიდან, ქვეყნის ბიუჯეტი საგარეო ვალების მომსახურებას იწყებს**



SOS!

# ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს გასცდა!

***საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების შეფასებით, ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და სულ მალე მოკვდაობის მაჩვენებელი შობადობისას 7-8 პროცენტით გაუსწრებს.***

***დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ შობადობისა და მოკვდაობის რეალურ აღწერას სახელმწიფო ვერ ახორციელებს და შესაბამისად, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიც არარეალურია.***

***როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ სტატისტიკის დეპარტამენტში განუმარტეს, 2006 წლის ოფიციალური მონაცემები დამუშავების სტადიაშია და საბოლოო სახეს მარტის თვეში მიიღებს. არსებული მონაცემებით კი შობადობის მაჩვენებელი მოკვდაობის ნიშნულზე მაღალია.***

***წინასწარი ინფორმაციით, 2006 წელს დაიბადა 41 ათასი და გარდაიცვალა 35 ათასი მოქალაქე. დემოგრაფიულ საზოგადოებაში განმარტავენ, რომ ეს მაჩვენებელი რეალობას არ შეესაბამება.***

***საქართველოში მოშლილია სარეგისტრაციო სისტემა. საქართველოს დაბერებული მოსახლეობა ყავს, შესაბამისად, მხოლოდ 35 ათასი გარდაცვლილი ქვეყანაში დაუჯერებელი და არარეალური მონაცემია, – აცხადებენ დემოგრაფიულ საზოგადოებაში.***

***დემოგრაფებმა ახალი წლის წინა პერიოდში მცირემასშტაბიანი სტუდენტური კვლევა ჩაატარეს. როგორც აღნიშნული საზოგადოების პრეზიდენტი ავთანდილ სულაბერიძე აცხადებს, კვლევის შედეგებმა უარყოფითი ტენდენციები აჩვენა. დემოგრაფიული პროგნოზების შესახებ „ჯი-ეიჩ-ენი“ ავთანდილ სულაბერიძეს ესაუბრა.***

– ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევის მთავარი მიზანი დემოგრაფიული ქცევის შესწავლა და მასთან ერთად უახლოეს 5-10 წელიწადში დემოგრაფიული პოტენციალის გამოვლენა იყო. კვლევამ საშუალება მოგვცა გაგვეგო, თუ როგორი იქნება დემოგრაფიული მდგომარეობა, კერძოდ შობადობა 2015 წლამდე.

**– რა ასაკის ახალგაზრდებში ჩატარდა კვლევა და რა შეკითხვებს მოიცავდა კითხვარი?**

– თბილისში 18-დან 24 წლამდე ასაკის 1 200 სტუდენტი გამოვკითხეთ. გამოკითხულ სტუდენტებში დაბალია შვილის ყოლის მოთხოვნილება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულებს მაღალი მიგრაციული განწყობა ახასიათებთ, პროგნოზი საკმაოდ სავალალო იქნება.

გამოკითხული სტუდენტების 74 პროცენტი საზღვარგარეთ წასვლას აპირებს. მათგან 5,4 პროცენტი – სამუდამოდ. თუ ამ მაჩვენებელს ამ ასაკის დანარჩენ ახალგაზრდებზე განვაზოგადებთ, მათი რაოდენობა 20-დან 40 ათასამდე გაიზრდება. სულ ქვეყანაში ამ ასაკის 700-800 ათასი ახალგაზრდაა. მათი წასვლით ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი სულ მცირე 40 000 ბავშვით შემცირდება. ეს მონაცემები ამტკიცებს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რადგან საქართველოდან გავა შობადობისუნარიანი მოსახლეობა.

რაც შეეხება შობადობის პროგნოზს, კვლევის თანახმად, სტუდენტებს სურთ ერთი ან ორი ბავშვი ჰყავდეთ. დღესდღეობით დაბადებულთა საერთო რაოდენობაში სამი და მეტი შვილი მხოლოდ 12 პროცენტს ჰყავს. დემოგრაფიული წონასწორობის შენარჩუნებისათვის მათი რაოდენობა 30-დან 40 პროცენტამდე უნდა მერყეობდეს.

ჩვენი კითხვარი ითვალისწინებდა შეკითხვას, თუ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებენ ახალგაზრდები ცხოვრების კარგ პირობებში. მათი პასუხი საშუალოდ სამი ბავშვით განისაზღვრა.

ძირითადი მიზეზი, რაც მცირეშვილიანობის სურვილს განაპირობებს, ეკონომიკური პირობებია. ამას გამოკითხული სტუდენტების 60,6 პროცენტი ადასტურებს.



**– შეიძლება თუ არა თქვენს მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა განსაზღვროს რეალური მდგომარეობა?**

– ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება დიდ თანხებს უკავშირდება, რისი საშუალებაც დემოგრაფიულ საზოგადოებას ამჟამად არა აქვს. უფრო ვრცელი კითხვარი რომ შეგვედგინა, ცხადია უფრო ნათელ შედეგებს მივიღებდით, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვეცა. სათანადო კვლევა 10-12-გვერდიანი კითხვარის შედგენას ითვალისწინებდა, ჩვენ კი ორგვერდიანი კითხვარით შემოვიფარგლეთ. გარდა ამისა, გამოკითხვა საქართველოს რეგიონებშიც უნდა ჩატარებულიყო, რის ხარჯებსაც ვერ გავწვდით, სამაგიეროდ გამოკითხული სტუდენტების დიდი ნაწილი რაიონებიდან იყო ჩამოსული. ამიტომ გარკვეული პროცენტით ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის ქვეყნის მასშტაბით განზოგადება დასაშვებია.

**– როგორ შეაფასებთ საქართველოს დღევანდელ დემოგრაფიულ ვითარებას?**

– მდგომარეობა ძალიან დამაფიქრებელია, რადგან იგი დიდი ხანია ჩამოსცილდა კრიტიკულ ზღვარს. სახეზეა დეპოპულაცია. რაც შეეხება სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შობადობა მოკვდაობასთან შედარებით გაზრდილია, ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ამჟამად ქვეყანაში მოშლილია აღრიცხვიანობის სისტემა. ხშირად არ ხდება დაბადებისა და სიკვდილის რეგისტრაცია. შეიძლება ითქვას აღრიცხვიანობაში 20-30 პროცენტი ცდომილებაა. შობადობა უფრო აქტიურად აღირიცხება, ვიდრე მოკვდაობა, რის შედეგადაც შობადობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მოკვდაობის.

**– რა უნდა გააკეთოს ქვეყნის ხელისუფლებამ ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

– პირველ რიგში პრეზიდენტის აპარატთან უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც სოციალურ დემოგრაფიულ საკითხებზე იმუშავებს და პრეზიდენტს სპეციალური კვლევების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას მიაწვდის. გასულ წელს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ და ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნა და აღნიშნულ პრობლემაზე თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. წერილზე პასუხიც კი არ მიგვიღია. ჩვენი კონცეფცია წინა ხელისუფლებასაც წარვუდგინეთ და ამჟამინდელსაც, თუმცა არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა.

აღარ არსებობს არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც დემოგრაფიულ პრობლემაზე იმუშავებს.

რუსეთში უარესი მდგომარეობა იყო, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებამ რადიკალური ნაბიჯები გადადგა– მას შემდეგ, რაც ბავშვი 3 წლის ასაკს მიაღწევს, დედა მეორე და მესამე შვილზე 10 ათას დოლარს იღებს. ამას ჰქვია დედის კაპიტალი, რაც დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მშობლების წასახალისებლად დააწესა ხელისუფლებამ.

ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში დემოგრაფიული ბანკის შექმნის თაობაზე დავსვით საკითხი, ანუ სახელმწიფოს ან რომელიმე ბიზნესმენს ახალდაბადებულ ბავშვზე მზრუნველობა უნდა აეღო და მის სახელზე ბანკში 1 000 დოლარი შეეტანა. პირობების თანახმად, ვიდრე ბავშვი სრულწლოვანი გახდებოდა, ეს თანხა 10 ათას დოლარს გადააჭარბებდა. სამწუხაროდ, ეს პროგრამა ვერ განხორციელდა.

**– დღეს რას სთავაზობთ ახალ ხელისუფლებას?**

– დღეს მზად გვაქვს ახალი კონცეფცია. აუცილებელია საოჯახო პოლიტიკის გატარება, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახების ბიზნესში ჩართვას გულისხმობს. ასეთი ოჯახები ე.წ. მცირე საწარმოა, განსაკუთრებით სოფელში. ამის გაკეთება შეიძლება დეპოპულაციის მქონე რაიონებში. გარდა ამისა, ქორწინებასა და შობადობაზე ახალგაზრდების სტიმულირებაა საჭირო. აუცილებელია მათზე ნაკვეთების თუ სამოსახლოების გაცემა, ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის საქონლის ყიდვა.

პირველ რიგში უნდა მივხედოთ დეპოპულაციის მქონე რეგიონებს, როგორებიცაა კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურიის მაღალმთიანი სოფლები, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო და სხვა. სხვა რეგიონებში არაქართველი მოსახლეობის გამრავლების ხარჯზე დეპოპულაცია არ ფიქსირდება.

პირველ რიგში უნდა მომზადდეს კონცეფცია და ხელისუფლებამ უნდა გამოხატოს პოლიტიკური ნება, რაც გულისხმობს ახალგაზრდა ოჯახებისათვის ყოველდღიური თუ საბინაო პრობლემების მოწესრიგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში დეპოპულაცია გარდაუვალია და თუ ასე გაგრძელდა, მოკვდაობის მაჩვენებელი შობადობის მაჩვენებელს მალე 7-8 პროცენტით გაუსწრებს.

ესაუბრა
**მეგი კავთუაშვილი,**
**„ჯი-ეიჩ-ენი“.**

№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

აქტუალური თემა

# რა სჭირს ჩუბაისს ჩვენი დასაკრედიტებელი?

## ბესო ჯუღელი ენას კბილს ვერ აჭერს

**ხელისუფლება აცხადებს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანას ახალი ვალები არ აუღია, მაგრამ ექსპერტები ირწმუნებიან, რომ საჩუქარიც ვალია და აუცილებლად მოგვთხოვენ მის დაბრუნებას, ოღონდ, სხვაგვარად.**

ამჟამად ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი სამ მილიარდ ლარზე მეტია. მიმდინარე წლიდან, ქვეყნის ბიუჯეტი საგარეო ვალების მომსახურებას იწყებს. ამ მიზნით, ბიუჯეტიდან 250 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვალების მომსახურებაზე ამოდენა თანხა უნდა დაიხარჯოს, ვალი, როგორც ამბობენ, პრაქტიკულად არ იკლებს. ასე კი გაუაზრებლად, დიდი პროცენტებით აღებული ვალის გამოხდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე „შარიანი“ კრედიტორი თურქმენეთი გვყავს. მისი გაზის ვალი გვმართებს (75 მილიონი$), თუმცა, თავის დროზე თურქმენეთმა თურმე პატივი გვცა და 1992-1993 წლებში გაზი კარგა შეღავათიანი პირობებით მოგვცა. თურქმენეთთან მორიგი ხელშეკრულება რომ გაფორმდა, მაშინ მრეწველობის მინისტრი ბესო ჯუღელი იყო.

კულუარული ხმებით, მას თურქმენეთიდან დაბრუნებისას თვითმფრინავში უთქვამს, თურქმენები ბრიყვები არიან, ფასი არ იციანო. ეს წამოროშება თურქმენბაშის ყურამდე მისულა და იმანაც სასწრაფოდ გვიჩვენა, ვინ იყო ბრიყვი. ამიტომაც დაგვედო ეს ვალი, დღემდე რომ ვიხდით. არადა, ბესო ჯუღელს მაშინ ენაზე კბილი რომ დაეჭირა, ქვეყანას ამხელა ვალი აცდებოდა.

როგორც ცნობილია, გაზის მომატებული ტარიფის სუბსიდია ბიუჯეტში არ ჩადებულა. მართალია, ბოლო წუთს თქვეს, თითქოს ბიუჯეტს 120 მილიონი ლარი ემატებოდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ იმ 120 მილიონიდან 31 მილიონი სამხედრო სფეროს დაემატა, 89 მილიონი კი გაზის სექტორს გამოუყვეს, თანაც, არა სუბსიდიად, არამედ – კრედიტად იმ რუსული კომპანიებისთვის, რომლებსაც გაზი შემოაქვთ, ანუ ჩვენ ახლა ვაკრედიტებთ „იტერასა“ და „რაოესს“. ჩუბაისს ჩვენს დასაკრედიტებლად გახდომია საქმე.

ერთი საინტერესო დეტალი: ჩვენს მეზობელ სომხეთს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა რუსეთის მეგობარია, 100 დღის სამყოფი ბუნებრივი აირის შესანახი გაზსაცავი აქვს, ჩვენ კი რუსეთთან ლამის გამოუცხადებელი ომის პირობებში ვიმყოფებით, მაგრამ კაციშვილს არ მოსვლია აზრად გაზის მარაგის შექმნა. გვაიმედებენ, გაზსაცავის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და აუცილებლად იქნება სახელმწიფოს პრიორიტეტიო. ისმება ლოგიკური კითხვა: საახალწლო თუ სხვადასხვა პომპეზურ ღონისძიებაზე ამდენი მილიონის დახარჯვას, გაზსაცავის აშენების დროულად დაწყება ხომ სჯობდა?!

**მზია გელენავა**

# პიროვნება

● იმ დღეებში ჟიული ყველგან იყო, რომ იტყვიან, ხმალამოღებული, მგზნებარე, ბრძოლის წინა ხაზზე მოლაშქრე, რადგან ისევ და ისევ არ მოსწონდათ „ზემოურებს“ მისი ასეთი შემართება და ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებოდნენ



◉ არდავიწყება

*1993 წელი, 8 იანვარი. ამ დროისთვის უჩვეულოდ თბილი, ჩახჩახა მზით გაბრწყინებული დედაქალაქი. თბილისის აეროდრომიდან ერთმანეთის მიყოლებით ორი ლაინერი აფრინდა. პირველი ტურისტებით, ქორ-ვაჭრებით, საკუთარი ქვეყნის ძარცვით გალაღებულთა ცოლ-შვილითაა გაძეძგილი, მეორეში რუსთაველები არიან. თვითმფრინავი სურსათ-სანოვაგითაა სავსე. აქვე არიან ქალაქის ხელმძღვანელები, სამრეწველო საწარმოთა თავკაცები და კიდევ ერთი პიროვნება, რომლის სახელი მალე ლეგენდად ამობრწყინდება.*

*ჩვენ ცეცხლის ალში გახვეულ აფხაზეთში მივეშურებით, რომ მხარში დავუდგეთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ გულანთებულ ჯარისკაცებს.*

*მე მაშინ იმ სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის კორესპონდენტი გახლდით, რომლის საინფორმაციო პროგრამა აფხაზეთის ომზე ინფორმაციის გადაცემის შემდეგ, „თბილისი-დუბაის“ რეკლამას წამდაუწუმ ატრიალებდა. ამჟამად მეორედ მიწევდა ფრონტის ხაზიდან რეპორტაჟის მომზადება.*

*ეს მერე, მანამ კი...*

# ის ყველგან იყო!

## ჟიული შარტავას რუსთავშიც დაახვედრეს მეთვალყურე აგენტები

**— მე რუსთავში ჭეშმარიტი ცხოვრებისეული აკადემია გავიარე,** — ამბობს კაცი, რომელსაც მანამ იმდროინდელი სახელმწიფო იერარქიის საფეხურებზე ფრიად დიდი წარმატებით ჰქონდა ავლილი და არაერთი აღიარებაც — მოპოვებული.

ქალაქკომის პირველი მდივნის ვრცელ კაბინეტში ნერვიულად მოსიარულე წამით შედგა, ჩემკენ შემოტრიალდა. თითქოსდა მისთვის ბუნებრივ, პირქუშ სახეზე ამჯერად უჩვეულო ღიმილი ეფინა. თვალებიც ისეთი სიყვარულით აახივებდა, მასში ერთბაშად აღმოვაჩინე ჭეშმარიტი, ყველგან და ყოველთვის სიკეთის მთესველი ჟიული შარტავა. გამოსამშვიდობებლად მივედი. მოხდა ის, რასაც ქვეშეცნეულად ველოდით, მაგრამ ასე ნაჩქარევად თუ მოიშორებდნენ, მაინც არ გვეგონა. არადა, ეს აშკარად ქალაქისა და მისი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ გაკეთდა. რუსთავმა თავისი თავდადებისთვის, მამულიშვილობისთვის, უმწიკვლობისთვის შეიყვარა იგი.

ჩემი მისვლა გაუხარდა. გულიც ამად გადამიშალა. არადა, მრავალნი აშკარად, დაუფარავად განერიდნენ. წაქცეულ ხეს ჩრდილი არა აქვს. ეშმაკსაც არ ეძინა, ის იქვე იყო ჩასაფრებული. ვინმე თუ მოეფერებოდა უკვე გამეტებულს, უმალ იქ, მაღლა ჩაუჩიკჩიკებდნენ, მერე კი...

**— არ მეგონა, ასე ახალგაზრდა, ცინცხალ ქალაქს თავისი გამორჩეული ტრადიცია თუ ექნებოდა. აქ სულ სხვა სიბრძნე, სულიერება და სიყვარული აღმოვაჩინე,** — ჟიული ისევ გრძელი ნაბიჯებით სცემდა ბოლთას და თავის ნაფიქრალს, გულის სადუღარს მიზიარებდა.

— ეგ ბუნებრივია, აქ ხომ სრულიად საქართველოს ყველა კუთხის შვილია თავმოყრილი, — საუბარში ავყევი, კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ქალაქის ისტორია. არც თავისი ტკივილი დაუმალავს, **ვერ მოვასწარიო ყველაფერი, ბევრის გაკეთება კი მინდოდაო.**

ჟიული შარტავამ რუსთავის თავკაცად სულ რაღაც წელიწადი და რამდენიმე თვე იღვაწა. დიახ, იღვაწა. რუსთავს მანამდეც ჰყოლია არაერთი კარგი, ენერგიული ხელმძღვანელი, მაგრამ ჟიული სულ სხვა იყო. მისი შემართება, გაქანება, კოსმოსური მუხტი ბევრს გაოცებას ჰგვრიდა. სათიბს რომ ცეცხლი აუვარდება, ისე ერთბაშად მოედო მისი შემართება ქალაქს და ააბრიალა, რაც დღემდე არ განელებულა.

ის იყო შემოქმედი, მოზღვავებული ენერგიის მქონე და, ამავდროულად, ფრიად გაწონასწორებული ორგანიზატორი. რასაც აკეთებდა, ყოველივე გულის ბუხარში ჰქონდა გამოზუზგუზებული, მისი ეს ცეცხლი, ხალხის სიყვარულით ამაღლებული, აღზევებული, იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ ჟიულის ირგვლივ თითქმის ერთბაშად მოქმედებისთვის დაიმუხტა ყველა, თვითნებურად გამოემშვიდობა წყნარ, მდოვრე, უშფოთველ ცხოვრებას, თვითდინებით მიშვებულს.

კი, როგორ არა, რუსთავი შენდებოდა, ვითარდებოდა, პლენუმიდან პლენუმამდე სათქმელი გროვდებოდა, საქებიც და საკრიტიკოც ბევრი იყო. ეს გახლდათ მთლიანად ქვეყნის სახელმწიფოებრივი მექანიზმის შემადგენელი ნაწილი. აი, ჟიულიმ ეს მექანიზმი ისე სწრაფად დაატრიალა, ააბობოქრა, რომ...



მე ამ ქალაქში არ დავბადებულვარ, აქ გავიზარდე. ის ჩემთვის მშობლიურია და წმიდათაწმიდა, მეც რუსთაველი აკადემიის სიკეთე მაქვს გავლილი და, როდესაც ჟიულიმ (და მან საუკეთესოდ უწყოდა პრესის, ტელევიზიის, რადიოს ფასი. ამასთან, ამჟამინდელ ხელმძღვანელთაგან განსხვავებით, შეეძლო ამაყად ეთქვა, გაზეთებს ვკითხულობო), გვერდით ამომიყენა, ამიყოლია, როგორც ჟურნალისტი, მასთან თითქოსდა ჩემი ქალაქი ხელახლა აღმოვაჩინე, პირველად ვნახე ლამის მივიწყებული, უპატრონოდ მიგდებული ეზოები, უბნები, დანგრეული გზები და მათი აღმშენებლობის წადილითაც უმალ ავივსე.

თავისი ჭკუით, მაშინდელმა ცეკას პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ჟიული შარტავა რუსთავში დასასჯელად გამოგზავნა და თან მეთვალყურენიც მიუჩინა, რომლებიც ძაღლის ერთგულებით ასრულებდნენ შეფის დავალებას. არა მარტო ენა მიჰქონდათ, ფეხებშიც ებლანდებოდნენ ქალაქის ხელმძღვანელს, ხელს უშლიდნენ, ზოგჯერ აშკარად აქილიკებდნენ, მაგრამ ჟიული იმ ფოლადისგან იყო ჩამოსხმული, რომელიც შეიძლება იდრიკებოდეს, მაგრამ არ ტყდება.

აკი რუსთაველებმაც ერთბაშად შეიყვარეს ეს ზღაპრული რაინდი, შეითვისეს და მხარში დაუდგნენ.

კი თქვა აკადემია აქ გავიარეო, მაგრამ მანამდეც საკმაოდ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი. თუნდაც ახალგაზრდული ქალაქის — შავნაბადას აღმშენებლობა. მის მეგობარ და ასევე ტრაგიკული ბედის თანამებრძოლ მამუკა ასლანიკაშვილთან ერთად.

მამუკა ასლანიკაშვილის მოულოდნელმა სიკვდილმა შეძრა რუსთავი. ის ხომ აქ, ჩვენს ქალაქში დავაჟკაცდა. მუდამ შემართული, ხალისიანი, საქმისთვის თავდადებული ვაჟკაცი პირველად მეტალურგიული ქარხნის მილსაადიდვო საამქროში გავიცანი. იქ ერთად ვმუშაობდით. მამუკა მალე კომკავშირულ საქმიანობას მოეკიდა და ერთბაშად აღზევდა, აკაშკაშდა. თუმცა ეს თავში არასოდეს ავარდნია. მამუკას სიკვდილი ისევ მაშინდელ ხელისუფლებას დაბრალდა. იმ დღეებში ჟიული შარტავას შავი ღრუბლები ეცვა. ეს კი საბედისწერო აღმოჩნდა. მამუკას გლოვა თანამდებობის პირებს (რა თქმა უნდა, მის ახლო მეგობრებსძ სასტიკად ეკრძალებოდათ. თუმცა იმხანად მამუკა ოჯახით თბილისში ცხოვრობდა, დედაქალაქში დაკრძალვის უფლება მაინც არ მისცეს. თბილისის მიწა მისთვის არ გაიმეტეს და ამიტომ რუსთავში განისვენებს.

დიახ, ბევრს მიაჩნდა, რომ ჟიული დინების წინააღმდეგ მიდიოდა, მაგრამ ასეთ ვითარებაში ბრძოლის ჟინი მეტ სიმძაფრეს იძენს. ჟიული შეუპოვარი და დაუდგრომელი იყო და იგი იბრძოდა მთელი შემართებით, ცხელი გულით, სიყვარულით, აღმშენებლობისკენ სწრაფვით, ერთგულებით, თავდადებით.

ქალაქში იმთავითვე გაჩაღდა მინი-სპორტული მოედნების ბუმი. ლამის ყველა ეზოს პატარები გალაღდნენ, გახალისდნენ. ახალგაზრდებმაც, ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ადვილად აიტაცეს წინამძღოლის ცეცხლი და მგზნებარება. ხელი მოჰკიდეს პარკების, ხეივნების, ქუჩებისა და სკვერების გამწვანება-გალამაზებას. მშობლიურ ქალაქზე ზრუნვამ მოიცვა დიდი და პატარა. გაზონებზე, სკვერებში, განსაკუთრებით მთავარი ქუჩების ხეივნებში განთავსდა დეკორაციები რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა ბრძნული აფორიზმებით. სადაც ახლა სიგარეტის და სხვა რაღაც ჯანდაბების სარეკლამო ბილბორდებია, მაშინ სამშობლოს სიყვარულის, ნაღდი ქართველობისკენ მომწოდებელი ბრძნული რჩევები და გამონათქვამები გვაწონებდნენ თავს. ეს თითქოსდა წვრილმანები.

რუსთავი მას შემდეგ დარჩა უეკლესიოდ, ბერქა ყაენმა რომ დაარბია საუკუნეების წინ. მერე კი მთლად გაუდაბნოვდა და აი, ჟიულიმ თავი გადადო, ნაეკლესიარი უნდა მოვიძიოთო. შეკრიბა ისტორიკოსები, არქეოლოგები, თვითონ დადიოდა ნაქალაქარის უბნებში, არიშის ციხის მიდამოებში. საქმე ის იყო, რომ მან ეკლესიის აშენება გადაწყვიტა, მაგრამ მაშინ კომუნისტური ძალაუფლება ჯერ კიდევ მძლავრი იყო და ის თავგადადებული ათეისტები ამას არ დაანებებდნენ.

ეკლესიის აშენება და ისიც ხელისუფლებისგან შერისხული კაცის მიერ, ეს ხომ აშკარა კატასტროფას მოასწავებდა!

და მან შემოვლითი გზით დაიწყო. აკი აღმოაჩინა კიდეც ნასაყდრალი ღვთივკურთხეულ ძველ ნასახლარზე, მაგრამ არ დასცალდა.

რუსთავის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. იმ დროისათვის თითქმის 170 ათასს მიაღწია. ქალაქში 45-ზე მეტი მსხვილი თუ წვრილი სამრეწველო საწარმო ფუნქციონირებდა. ათობით სამრეწველო ორგანიზაცია 6 ათას კაციან სამშენებლო ტრესტს წინამძღოლობდა. აშენებდნენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, სოციალური თუ კულტურული დანიშნულების ობიექტებს, სკოლებს, ბაგა-ბაღებს რამდენიმე წლის წინათ დაპროექტებული და ხრამიდან შემომდინარე სასმელი წყალი უკვე აღარ ჰყოფნიდა ქალაქს. რუსთავის ენერგიულმა და გამჭრიახმა თავკაცმა სწორად განჭვრიტა მომავალი საფრთხე — უწყლობა კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ზემოდან დაფინანსების არავითარი შანსი არ არსებობდა და მან მიიღო არაორდინარული გადაწყვეტილება — ქალაქს საკუთარი ძალებით უნდა ეპოვნა ხსნის გზა.

ჟიულიმ თბილისიდან მოიწვია თავისი მეგობარი დამპროექტებლები. უსასყიდლოდ შესრულდა უმნიშვნელოვანესი პროექტი ხრამიდან რუსთავამდე 34-კილომეტრიანი ახალი მაგისტრალისთვის. შემდეგ შემოიკრიბა ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა თავკაცები, მშენებლები, მემონტაჟეები. ყველამ, ვისაც რისი გაკეთება შეეძლო, ზოგჯერ კი შეუძლებელიც, თავის თავზე აიღო. ყველას მიუჩინეს თავთავისი უბანი და ასე დაიწყო სწორუპოვარი მაგისტრალის მშენებლობა იალღუჯის მთის თხემზე. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ვერხვიანეთში ბავშვთა ქალაქს ეყრებოდა საფუძველი. გზის მეორე მხარეს, უდაბნოზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის კონტური გამოიკვეთა. რუსთავის საქვეყნოდ აღიარებული სახელმწიფო აკადემიური თეატრი რომ მეტალურგთა კულტურის სასახლეში იყო შეხიზნული, ამასაც ვერ შეეგუა. ისევ თავისი სანაცნობო წრე მოიშველია. უნიკალური თეატრის პროექტმა ქაღალდზე დაივანა, უშველებელი სასაძირკვლეც ამოთხარეს და ფუნდამენტიც ჩადუღაბდა. სხვა რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

იმ დღეებში ჟიული ყველგან იყო, რომ იტყვიან, ხმალამოღებული, მგზნებარე, ბრძოლის წინა ხაზზე მოლაშქრე, რადგან ისევ და ისევ არ მოსწონდათ „ზემოურებს“ მისი ასეთი შემართება და ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებოდნენ.

მახსოვს, ერთხელ წყალსადენის მაგისტრალის დათვალიერებისას „ვილისით“ იალღუჯის ერთ-ერთ ხევში ჩავრჩით. მანქანა ტლაპოში ჩაეფლო და საშველი რომ არ ჩანდა, ის პირველი ჩამოვიდა მანქანიდან, ბოტები ეცვა და ისე იყო შემართული, მეგონა მთებსაც დაძრავდა. მერე ყველა ერთად მივაწექით და მანქანა ძლივს ამოვათრიეთ. გზად მშენებელ-მემონტაჟეებს სათითაოდ ჩამოვუარეთ, ყველას გამოჰკითხა, თუ ვის რა პრობლემა ჰქონდა. უბის წიგნაკში ჩაწერა არ სჭირდებოდა, დანაპირებს არასოდეს ივიწყებდა.

წყალსადენი სარეკორდო დროში გაიმართა, მილებშიც აჩუხჩუხდა. ერთი გენახათ მისი გაბრწყინებული თვალები. თითქოსდა მკაცრ ხორბლისფერ პირსახეს კაცთმოყვარე, ადამიანური გულიდან ამოფრქვეული სიკეთე შუქურად დაფრქვეოდა.

სასტუმროს უნიკალური ნაგებობაც ჩაიფიქრა და... მის მიერ წამოწყებული სასიკეთო საქმენი შემდგომში მისმა მემკვიდრემ, შესანიშნავმა ორგანიზატორმა თეიმურაზ ხაზარაძემ დააგვირგვინა.

ჟიული შარტავას არ ასვენებდნენ, მის საქმეებში წარამარა იქექებოდნენ, რომ როგორმე დარღვევები აღმოეჩინათ და სამაგალითოდ დაესაჯათ, საქმიდან ჩამოეცილებინათ.

თუმცა ვერაფერი უპოვეს, მაინც უხიმანდრეს, ჩამოაცილეს რუსთავს და კიდევ ერთი ვერაგული დარტყმა მიაყენეს, თუმცა ამჯერად სასწაული მოხდა. რუსთაველები ვერ შეურიგდნენ მათთვის ესოდენ მოჭირნახულე თავკაცის ასე მოცილებას. მართლაცდა ასეთი რამ იმ დროს წარმოუდგენელი და უპრეცედენტოც კი იყო. ათასობით წერილი გაიგზავნა პოლიტბიუროში, მოთხოვნით, დაგვიბრუნეთ ჟიული შარტავაო. ის კი არა, კრემლში პოლიტბიუროს დამსახურებულ რუსთაველთა რამდენიმეკაციანი დელეგაციაც აახლეს. ჟიულის უკანონოდ განთავისუფლებას ვერა და ვერ ეგუებოდნენ რუსთაველები, მაგრამ ხელმწიფის ნებას წინ ვინ დაუდგებოდა.

გავიდა წლები და რუსთაველებმა ჟიული შარტავა ერთხმად აირჩიეს მაჟორიტარ დეპუტატად. ამით გამოხატეს თავიანთი ნება.

შარტავა იმჯერადაც ჩვეული ენერგიით ჩაერთო ქალაქის ცხოვრებაში, თუმცა იმხანად სახელმწიფო მექანიზმი უკვე მოშლილი იყო, გაძნელდა რაიმე სასიკეთოს კეთება, მაგრამ ის არ ცხრებოდა. ბევრი რამ ამ წლებშიც მოასწრო და დატოვა კიდევაც თავისი ნათელი კვალი.

...და აი, ჩვენ აფხაზეთში ჩავფრინდით. იქაც, როგორც დანარჩენ საქართველოში, ჩინებული მზიანი დარი იდგა. სოხუმის მერის გულანთებული პატრიოტის, სამშობლოსთვის თავშეწირული გურამ გაბესკირიას თავკაცობით, საკმაოდ შემადგენლობითი დელეგაცია დაგვხვდა. ჟიულიმ მათ რიგებში ერთი უახლოესი მეგობარიც აღმოაჩინა, გაიყოლია და პირდაპირ ფრონტის ხაზს მიაშურა.

მოგვიანებით მეც შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას. შევხვდი ჩვენს მამაც მებრძოლებს, სვანთა ბატალიონის საბრძოლო ამბები აღვნუსხე, რუსთაველთა ასეულიც მოვინახულე, რომ ტელევიზიით გამეშუქებინა. ქართველ ჯარისკაცთა შემართებით ანთებული ჩინებული სიუჟეტი მოვამზადე. მაშინ ვირწმუნე, რომ მათი მომრევი არავინ იყო. ასეც იქნებოდა, რომ არა შინაურთა გამცემლობა და უნიათობა.

გვიან, თვითმფრინავში რომ ჩავსხედით, ჟიულის ინტერვიუ ვთხოვე.

ჩვენ ბრწყინვალე მეომრები გვყავსო, მითხრა, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია, მოდი, ინტერვიუ შემდგომისათვის გადავდოთო.

გვიან, როცა ჟიული აფხაზეთის მთავრობას ჩაუდგა და იქ ყველასთვის ცნობილი საბედისწერო ამბები დატრიალდა, მივხვდი, თუ რატომ არ ისურვა მან მაშინ ტელევიზიით გამოსვლა.

ჟიულიმ იქ ბევრი სხვაც დაინახა, რისი თქმაც იმ დროს შეუძლებელი იყო. არადა, გულმხურვალე მამულიშვილმა უკვე მაშინ იგრძნო და დაინახა ის დიდი საფრთხე, რაც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა.

**გივი ჯახუა**

● გლობალური ეკონომიკის საფუძველი ახალი ელექტრონული კულტურაა, რომელიც საქონლის გაყიდვისკენაა მიმართული და მოსახლეობის ახალგაზრდა თაობაზეა გათვლილი. ეს ზნეობის კულტურა არ არის, ეს – მოგების კულტურაა



◎ რა გველის ხვალ?

# გლობალიზაცია: მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირმშო

## 4. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

გასაკვირი არ არის, რომ ახალ ეკონომიკაში ჩართვის წესები უცვლელი არ არის და მრავალი გადაუწყვეტელი პრობლემა წარმოიშვება. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ფლობა – მეცნიერებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში სიმდიდრის ალტერნატიული წყარო – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი და გადაუჭრელი საკითხებიდან ყველაზე უფრო საკამათოა.

**საწარმოო აქტივების კერძო მფლობელობა და ამ აქტივებიდან მიღებულ მოგებათა მისაკუთრების უნარი კაპიტალიზმის არსია. კაპიტალიზმი არ მუშაობს, თუ გარკვეული არ არის, ვინ რას ფლობს.** თანამედროვე პირობებში ინტელექტუალურ საკითხებში საკუთრების უფლებები ასე ნათელი არ არის. ისტორიულად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დანერგვისა და მოქმედებისაკენ მიმართული მცდელობები პატენტებს, სავაჭრო მარკებსა და საავტორო უფლებებს მოიცავდა. მაგრამ ორი პრობლემა მაინც რჩება: პირველი, არსებული სისტემა არ შექმნილა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, და მეორე, არ არსებობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განმახორციელებელი გლობალური სისტემა.

ახალმა ტექნოლოგიებმა ინტელექტუალური საკუთრების ახალი პოტენციური ფორმები შეჰქმნეს. მაგალითად, შეიძლება კი დააპატენტდეს ადამიანის გენეტიკური მონაკვეთები? მფლობელობის რა უფლებები არსებობს, როცა კაცობრიობა ახალ გენებს ჰქმნის, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ბუნებრივად არსებული დეფექტიანი გენები? **ახალმა ტექნოლოგიებმა ძველი უფლებები განუხორციელებელი გახადეს.** როცა წიგნი ან მუსიკა შეიძლება მივიღოთ ელექტრონული ბიბლიოთეკიდან, რას ნიშნავს საავტორო უფლება?

ის, რაც სხვადასხვა ქვეყანას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სისტემაში, მათი ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, სჭირდება და უნდა ჰქონდეს, ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. **განვითარებად** ქვეყნებისათვის ინტელექტუალური სიახლეების კოპირება განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. **განვითარებული** ქვეყნები კი არასანქცირებული კოპირების აღკვეთას ცდილობენ, რათა კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციების ამოგების ადეკვატური ნორმა უზრუნველყონ.

ამასობაში, ნებისმიერი შეიძლება განაწყენდეს. **ინტელექტუალური მეკობრეები განვითარებული სამყაროს პერსპექტივებიდან სხვის კუთვნილ საკუთრებას იპარავენ. განვითარებული მსოფლიო ხედვით, ისინი, რომლებიც ცდილობენ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, ართმევენ მათ ცოდნას, რომელიც განვითარებისთვის სჭირდებათ.**

## 5. დასკვნა

გლობალიზაცია ორი ტალღით გავრცელდა. ილუზიაა, რომ ეროვნულ მთავრობებს შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას გლობალიზაციაში, იქიდან გამომდინარეობს, რომ ეს არჩევანი გლობალიზაციის პირველ ტალღაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო.

გლობალიზაციის **პირველი ტალღის** გავრცელებას ხელი რამდენიმე გარემოებამ შეუწყო. პირველი ის იყო, რომ ეკონომიკურ ნაციონალიზმს დიდი დეპრესიისა და




მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევდნენ. ხოლო მეორე – კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის არსებული კონფრონტაცია. „ცივი ომის" ორივე მხარე 1950-იან წლებში უფრო მეტად ინტეგრირებული ტრანსეროვნული ეკონომიკების შექმნას შეეცადა. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა (EECძ დასავლეთ ევროპაში და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (COMECNძ აღმოსავლეთ ევროპაში მსგავსი მცდელობების გამოხატულება იყო. თითოეული ზესახელმწიფო ცდილობდა, თავის სამხედრო პარტნიორთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირებიც დაემყარებინა. მართალია, ამერიკა არ იყო EEC-ის წევრი, მაგრამ იგი EEC-ის უდიდეს მხარდამჭერ ძალას წარმოადგენდა.

არაკომუნისტური სამყაროს განვითარებულმა ქვეყნებმა GATT-ის სავაჭრო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. 50-60-70-იან წლებში ეროვნული მთავრობები თანდათანობით ტარიფებსა და კვოტებს აუქმებდნენ, რათა უფრო მეტად ინტეგრირებული კაპიტალისტური გლობალური ეკონომიკა შეექმნათ. ამ ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს კომპანიებმა ეროვნული საზღვრების გაფართოებით უპასუხეს. შემდეგ, **70-ანი წლების მიწურულს, ჩინეთმა თავისი არჩევანით და 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირმა – დაშლით, შეწყვიტეს გლობალურ ეკონომიკასთან დაპირისპირება და ერთიან კაპიტალისტურ გლობალურ საბაზრო ეკონომიკაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს.**

გლობალიზაციის **მეორე ტალღა**, რომელიც 1980-იან წლებში დაიწყო და 1990-იან წლებში დაჩქარდა, ძალზე განსხვავებულია. იგი ტექნოლოგიებში დიდი ძვრების შედეგად „ცუნამის" ტალღასავით წარმოიქმნა. ტექნოლოგიების მიერ შექმნილი ახალი გლობალური საბაზრო შესაძლებლობებისთვის პასუხის გასაცემად კორპორაციები ახალ ტექნოლოგიებს გლობალიზაციის ამ „მეორე ტალღაში საცურაოდ" ინტენსიურად იყენებენ. **მთავრობები ჩამორჩნენ. მათ არ გადაუწყვეტიათ გლობალურად მოქმედება. მთავრობები ტრანსნაციონალურ კორპორაციულ შერწყმებს ხელს არ უწყობდნენ. მთავრობებს ელექტრონული კომერცია არ დაუწყიათ. ეს ყველაფერი ტექნოლოგიური ძვრების გამო მოხდა.**

**გლობალიზაციის მეორე ტალღა ის პროცესი არ არის, რომლის დაწყება ან შეჩერება მთავრობას შეეძლოს. განუვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ აირჩიონ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკაში. მონაწილეობის მიუღებლობა განათლებული სამუშაო ძალისა და მონაწილეობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის უარყოფას ნიშნავს. ეს კი, თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარების პროცესს აფერხებს. გამდიდრების სხვაგვარი პროცესი არ არსებობს.**

**განვითარებულ ქვეყნებს** კი სხვა არჩევანი არ აქვთ. მათ უკვე გაიარეს ის წერტილი, საიდანაც მობრუნება შეიძლებოდა. მათმა კორპორაციებმა თავიანთი თავი გლობალურ ეკონომიკას უძღვნეს. მათი სტრუქტურა მხოლოდ გლობალურ ეკონომიკას ესადაგება. ამიტომ მათ არ შეუძლიათ მხოლოდ ეროვნულ ეკონომიკებს მოემსახურონ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ამას მოინდომებენ. განვითარებულ სამყაროში იმდენად ბევრი მოქალაქის საარსებო საშუალების მოპოვებაა გლობალურ ეკონომიკაზე დამოკიდებული, რომ მათი მთავრობები არჩევანზე არც კი ფიქრობენ.

## კომენტარები

1. ახალ ტექნოლოგიებსა და მეცნიერებაზე დამყარებული ეკონომიკა ადამიანთა საზოგადოების საარსებო გარემოსაც ცვლის. ეს პროცესი ჩვენშიც კი (!!ძ, უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით თვალსაჩინო და საგრძნობი გახდა.

რადგან გლობალური ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკების არსებულ საზღვრებს შლის და **განვითარებული ქვეყნების** მთავრობებს უკვე არ ძალუძთ წინ აღუდგნენ ამ პროცესს (სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების უარყოფა შეუძლებელიაძ, მსოფლიო ეკონომიკების ფაქტობრივი მართვა არსებითად ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში გადადის. ისინი კი ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებს არ ცნობენ **(კაპიტალს ეროვნება არ აქვს!ძ.** რაც შეეხება **განვითარებად ქვეყნებს** (მათ შორის, საქართველოს და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცესძ, მათ სხვა გონივრული არჩევანი არც აქვთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თავიანთ ხალხს რუტინისა და სიღარიბისთვის გასწირავენ. **უბრალოდ, მსოფლიოში ინტეგრირების გარეშე არსებობა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია** (პრინციპში, ეს შესაძლებელია ამაზონის ტყეებში მცხოვრებ ველურებისთვის, ისიც – პირობითადძ.

2. ბედისწერა თან გვდევს: დღევანდელი საქართველო იმდენად დაუძლურებული, ურესურსო და მთლიანობადაკარგული ქვეყანაა, რომ ძლიერი მფარველის ძებნაში მზადაა, ნებისმიერ უცხო სახელმწიფოს დაუმეგობრდეს, თუ ის ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს რუსეთის მარწუხებიდან ქართული ტერიტორიების დახსნაში. ასეთ ქვეყნად, ფაქტობრივად, ჯერჯერობით, აშშ-ის მეტი არავინ ჩანს. არადა, ამ პოლიტიკურ გაწევ-გამოწევაში, გასული 16 წლის მანძილზე, არსებითი ხასიათის რაიმე შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ. ვერ მივაღწიეთ, რადგან რუსეთი არა და არ თმობს თავის ინტერესებს კავკასიაში (აფხაზებსა და ოსებს ვინ რას ეკითხება!!ძ.

ამ პოლიტიკურ ბაქანალიაში უშუალოდ ეკონომიკის განვითარება არავის ახსოვს! უფრო ზუსტად, ამ პოლიტიკურ არასტაბილურობაში **სერიოზულ** ეკონომიკურ ინვესტიციებს უცხო კი არა, სამამულო ინვესტორებიც უფრთხიან. საქართველოში თუ ვინმე შემოდის ან შემოსვლას დააპირებს (ვინც არ უნდა იყოს ისძ, – უარის მთქმელი არავინაა. მე არ ვგულისხმობ აეროვაგზლის თურქ მოკლევადიან მშენებლებს, ან იმავე ქვეყნიდან მსხვილ მოვაჭრეთა მიერ საბითუმო საწყობებისა და სათავსების მოწყობას, ან ტელეკომუნიკაციების სფეროში ქართველებთან ერთად უცხოელებისთვის მომგებიან ინვესტიციებს, არც რესტორნებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ვამბობ არაფერს, სადაც ძირითადად 90-ინი წლების პირველ ნახევარში სახელმწიფო ქონების დატაცებით ნაშოვნი ფულის გაცოცხლება და რეალიზაცია ხდება. სამწუხაროდ, მატერიალურად, საბაზრო ეკონომიკა საქართველოში ამით ამოიწურება. კაპიტალური ეკონომიკის და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების ქმნადობაც არაა.

საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ამასთანავე მოსალოდნელი გლობალურობითაც გაჟღენთილი, ქვეყნაში სოციალური უთანასწორობის კატასტროფულ ზრდასა და ახალგაზრდა თაობის ცნობიერებაში აშკარა დეფორმირებაში გამოიხატა. პროფესორი ლესტერ თუროუს სტატიაშიც მითითებულია ის ჭეშმარიტება, რომ **გლობალური ეკონომიკა ქვეყნებს შორის და ქვეყნებს შიგნითაც უთანასწორობას მკვეთრად ზრდის. კაპიტალის შემოსავალი იზრდება, შრომის შემოსავალი კი ეცემა. საბაზრო ძალები ხელს უწყობენ ეროვნული სიმდიდრის უთანაბრო განაწილებას.** რა თქმა უნდა, ამას ყველა ველოდით(!ძ, ეს ყველამ იცოდა(!ძ, მაგრამ განახევრებული ქვეყნის, ასეულ ათასობით დევნილისა და ძველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა დანგრევის ფონზე მოსახლეობისთვის უსაშველოდ მძიმე საცხოვრებელი პირობები შეიქმნა. ისეთი სურათია, კაცს გალაკტიონი გაგახსენდება: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!"

მაგრამ, ეს კიდევ არ არის ყველაფერი.

**გლობალური ეკონომიკის საფუძველი ახალი ელექტრონული კულტურაა, რომელიც საქონლის გაყიდვისკენაა მიმართული და მოსახლეობის ახალგაზრდა თაობაზეა გათვლილი. ეს ზნეობის კულტურა არ არის, ეს – მოგების კულტურაა.** გვინდა თუ არა, ეს რეალობაა. სტატიის ავტორი აღიარებს, რომ ელექტრონული კულტურა აშინებს როგორც ამერიკელებს, ისე სხვებს. ამ „სხვებში", ალბათ, სხვა განვითარებული ქვეყნები იგულისხმება და არა ჩვენი დონის **ახალი, უმწიფარი სახელმწიფოები**, რომლებსაც გლობალური ეკონომიკა არსებითად ჯერ არც შეხებია. თუმცა ჩვენთვის ეს ვერაფერი ნუგეშია. ის, რაც ჩვენში ხდება: მრავალგვარი ე.წ. „თავისუფლების" ინსტიტუტების სრულიად გაუგებარი „საქმიანობა", ყოვლად უგემოვნო სატელევიზიო ტაშფანდური, შოუები და „ბარები", არაქართული და უზნეო გადაცემები (სადაც წარსულსაც და თანამედროვეობასაც ერთნაირად დასცინიანძ, სათაყვანო ქართველი წინაპრების აუგად ხსენება (უცხოელი დამფინანსებლების წაქეზებითძ და ა.შ., გლობალიზაციის საწყისი, მძიმე და მოსახლეობისთვის ფსიქოლოგიურად ძნელად შესაგუებელი ეტაპია. სამწუხაროდ, ამ „წარმოდგენებში" ნიჭიერი ახალგაზრდებიც მონაწილეობენ.

3. ყურადღებით გავეცნოთ პროფ. ლესტერ თუროუს სტატიას. **რას გვიქადის გლობალური ეკონომიკა (მოდით, უფრო კონკრეტულნი ვიყოთ: არამარტო ეკონომიკა, არამედ, საერთოდ, გლობალიზებული ცხოვრების წესიძ, რა გველის ხვალ და ზეგ? რას გვიქადის ის, რომ მართლაც „დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით"? მით უფრო, რომ ეს „წყლულები" უპირატესად ადამიანთა ცნობიერების სფეროს განეკუთვნება! მართალია, გარუსებას, ვგონებ, გადავურჩით, მაგრამ ხომ არ გავხდებით ქართული წარმოშობის ამერიკელები, გერმანელები ან ინგლისელები? ხომ არ ვკარგავთ ეროვნულობას, ჩვენს კულტურას, რომელიც ათასობით წლებს ითვლის? უსამშობლოობა ხომ არ გვემუქრება? რუსეთი და სსრკ მანქურთობას გვიქადდა და ისინი რომ მოვიშორეთ, ახლა ელექტრონული კულტურის სახით სხვა, უფრო დიდი საფრთხე ხომ არ გაგვიჩნდა?**

**ეს კითხვები არ არის ამ კომენტარებში პასუხის გასაცემი თემა. ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ!**

მოამზადა და კომენტარები დაურთო
**ამირან გაბისონიამ**

*P. S. ხაზგასმები პროფ. ლ. თუროუს სტატიაში ყველგან ჩემია – ა. გ.*

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 8, 9.**

# აქეთურ-იქეთური

● ჩვენი მცირერიცხოვანი ერი რომ თითქმის გაქრობის წინაშე დგას, ამას, ეტყობა, ვერ გრძნობს ქვეყნის ხელისუფლება



◎ მთელი ხმით

## ერის გამრავლება... ლოზუნგებით

**ხომ გახსოვთ ჩვენი „ლამაზი ბიჭის“ გიგი უგულავას წინასაარჩევნო კამპანია დედაქალაქის მერის თანამდებობის დასაკავებლად?!**

**რა დაგავიწყებთ!..**

თბილისის მერი უკვე ბრძანდებოდა ბატონი გიგი, მაგრამ ახლა ხალხს უნდა აერჩია და ისიც ძალ-ღონეს არ იშურებდა (ასე გვაუწყებდა „რუსთავი-2“), მსახიობურ ნიჭს არ ზოგავდა (ამას კი კარგად ვხედავდით ტელეეკრანზე), რომ ერთ უბრალო ქალაქელ, მშრომელ ადამიანებზე შეყვარებულ კაცად გაეცნოთ იგი თბილისელებს. განსაკუთრებით ბავშვებს, მოზარდებს „უყადრებდა“ თავს მომავალი ქალაქის მერი. აბა, აქეთ მრავალშვილიან ოჯახებში



სტუმრობაო, ჩვილებთან ერთად ტელეკამერების წინ პოზირებაო, აბა, იქით ყვინჩილა ბიჭებთან ფეხბურთის თამაშიო, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ავირჩიეთ, ჩემო ბატონო, გიგი უგულავა თბილისის მერად, ვანდეთ ამხელა საქმე და უცებ გადასხვაფერდა კიდეც ეს „დემოკრატი“ კაცი. უკვე ნამეტანი სერიოზულია და, რაც მთავარია, საქმით ამტკიცებს, რომ წინასაარჩევნო კამპანია ფარსი იყო და მეტი არაფერი.

ქალაქის მერის მრავალ უკანონო გადაწყვეტილებიდან (ვეტერანები როგორ „მოისროლეს“), სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ მერიამ ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა მრავალშვილიან ოჯახებს, ანუ ჩვენი ისედაც კატასტროფული დემოგრაფიული სიტუაცია სრულიად უნუგეშო გახადა.

საკვირველია, ღმერთმანი! იმის მაგივრად, რომ სახელმწიფო ათასნაირ სახსარს ეძებდეს ახალგაზრდა ოჯახების წასახალისებლად, გასამრავლებლად, რამდენიმელარიან დახმარებასაც კი უსპობს და სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ამყოფებს!..

არადა, პუტინმა, დიახ, დიახ, ვითომ „ქართველთმოძულე“ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა მნიშვნელოვანი შეღავათები დაუწესა იმ ოჯახებს, რომლებსაც სამზე მეტი შვილი ჰყავთ, ან ეყოლებათ. ეს იმიტომ, რომ თითქმის სამასმილიონიანი ქვეყნის დემოგრაფიული საშიშროება იგრძნო რუსეთის მმართველმა. ამ დროს, ჩვენი მცირერიცხოვანი ერი რომ თითქმის გაქრობის წინაშე დგას, ამას, ეტყობა, ვერ გრძნობს ქვეყნის ხელისუფლება.

ლოზუნგებით მაგრები ვართ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ გაზმომარაგება

## სემეკი ახალ ტარიფებს ადგენს

**„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მუშაობის შარშანდელი ბოლო ექვსი თვის ანგარიში მოისმინეს სემეკის (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის) ბოლო საჯარო სხდომაზე.**

ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისზე“ კომისიამ 2006 წლის ივნისში გასცა. აღნიშნული ნებართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი ის გახლავთ, რომ საზოგადოებამ დედაქალაქში გაზმომარაგების მხრივ ავარიულად საშიში უბნების გადაუდებელი შეკეთება-რეაბილიტაცია საზოგადოებას დაეკისრა.

სემეკის სხდომაზე შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ დოკუმენტების პაკეტი წარადგინა, რომელიც განხილვის საგანი გახლდათ. კერძოდ, კომისიის წევრებს გააცნეს საზოგადოების პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებები, დედაქალაქის გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაციის გეგმა, საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ობიექტების ჩამონათვალი, ფასიანი მომსახურებიდან მისაღები შემოსავლის პროგნოზი, სხვა სახეობის სტატისტიკური ინფორმაცია.

გარდა ამისა, საზოგადოების წარმომადგენელმა კომისიის წევრებს გააცნო შარშანდელი წლის მეორე ნახევარში ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანოტაცია. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული შენიშვნების მიუხედავად, კომისიამ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ შარშანდელი მუშაობის შედეგები დადებითად შეაფასა და გადაწყვიტა, რომ მომდევნო ანგარიში წლეულს ივნისში განიხილოს.

სემეკის სხდომაზე ასევე ზოგიერთი სხვა საკითხიც განიხილეს. კერძოდ, ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიანტების მიერ ლი-



ცენზიის პირობების შემოწმების მიზნით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ასევე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, დამტკიცდა ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიანტთა მიერ ლიცენზიების პირობების შესრულების შემოწმების გეგმა და გრაფიკი.

განიხილეს ასევე „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილებები. საკითხი, კერძოდ, შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ შესახებ დადგენილების პროექტს ეხება. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული საზოგადოება გაზს ანაწილებს და საცალოდ აწვდის ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობასა და სამრეწველო მომხმარებლებს. კომპანიის სატარიფო განაცხადის თანახმად, წლეულს მუშაობას იწყებს მაღალი წნევის ორი ავტოგასამართი სადგური და საშუალო წნევის ხუთი ობიექტი. აქედან გამომდინარე, კომპანიამ სემეკს დიფერენცირებული ტარიფის (წნევის მიხედვით) დადგენა სთხოვა. სემეკმა კორექტირება შეიტანა კომპანიის მიერ წარმოდგენილ ზოგიერთ მაჩვენებელში, „აჭარის ბუნებრივი აირისთვის“ ახალი სამომხმარებლო ტარიფები დაამტკიცა.

**ამასთან, სემეკს ზოგიერთი დოკუმენტის კონფიდენციალურად ცნობის თხოვნით ორმა ლიცენზიანტმა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ და სს „იტერა-საქართველომ“ მიმართა. საქმე ეხებოდა აღნიშნული საწარმოების მიერ წლეულს, 5 იანვარს სემეკში შეტანილ სატარიფო განაცხადებს. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და კომპანიების თხოვნა დააკმაყოფილა.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ გვწერენ

## შადრევნებზე მეტად თბილისს ესტაკადები სჭირდება

**ქუთაისის ქუჩა თბილისის ცენტრში, დიდუბეში, დინამოს სტადიონიდან ტრანსპორტის ერთ გაჩერებაზეა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვისაც მშობლიურ დედაქალაქზე გული შესტკივა და „სავარდო და სამაისო“ ქუთაისის სახელსაც უფრთხილდება, აშკარად უკმაყოფილო დარჩება. ამაში ნებისმიერ დროს დარწმუნდებით. სავალალოდ გამოიყურება ეს ისედაც ვიწრო ქუჩა: ორმოები, მანქანებით მუდმივად ჩახერგილი, ერთიმეორეზე მიწყობილი, მომრავლებული ავტომალაზიები...**

ქუთაისის სახელი დედაქალაქში, რატომღაც, ავტომალაზიებთან ასოცირდება. არადა, საქართველოს მეორე ქალაქის სახელი უფრო დიდ და ლამაზ ქუჩას დამშვენდებოდა! თბილისის მერიისთვის მართლაც დიდი საფიქრალი და საზრუნავია თბილისში ქუჩების რეკონსტრუქცია. მართალია, ბევრი გაკეთდა კიდეც, მაგრამ ერთიორი ესტაკადის მოწყობა აუცილებელზე აუცილებელია. ვიცით, რომ ეს სერიოზულ სახსრებთანაა დაკავშირებული. მაგრამ შადრევნებზე მეტად საჭირო და აუცილებელია. თბილისი აშკარად ჩამორჩება ამ თვალსაზრისით დიდი ქალაქების სტანდარტებს. პიკის საათებში მანქანით ვერ გაივლი. ვინც მეზობელ თურქეთში ყოფილა, ნახავდა, როგორი ესტა-



კადებია თუნდაც პატარა ტრაბზონში. ესეც ხომ შორს არ არის, ჩადით, ნახეთ!

სოფლების შემოერთებას, უმჯობესია, ქალაქში დავხარჯოთ მეტი ენერგია. აუცილებლად გაუფრთხილდით ძველ შენობებს ქალაქის ისტორიულ ნაწილში. მას რესტავრაცია სჭირდება, ის ხომ თბილისის სახეა. ბარათაშვილის ხიდიდან თუ გახედავთ, სამების ტაძრის ფონზე დაინახავთ თბილისისთვის დამახასიათებელ ლამაზ აივანს, რომლის უკან თვალში შეგეჩხირებათ ახალი ყვითელი შენობა... ნუთუ, დიდი არქიტექტორია საჭირო, რომ ეს შეუსაბამობა არ დაუშვას?

დედაქალაქს მეტი გაფრთხილება უნდა.

**ნოშრევან ქადაგიძე,**
**რაჟდენ ბარათელი,**
**სოსო ქობულაძე,**
**დიდუბის მცხოვრებნი,**

◎ ინფორმაცია

## აფხაზეთში სომხები ჭარბობენ?

**სომხურმა მედიაკლუბმა წინასაარჩევნოდ აფხაზეთში სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა.**

**აფხაზეთში 63% აფხაზი ცხოვრობს, შემდეგ 41% სომხური მოსახლეობა მოდის, 13% რუსული და 0,8 ბერძენი და შემდეგ სხვა დანარჩენი. აქედან სომხური მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში სახლობენ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ყველა სხვა დანარჩენი ადგილობრივი ეთნოსისგან განსხვავებით, დასაქმებულია.**

**საინტერესოა, რატომ „ვერ ხედავს“ სომხური მედიაკლუბი აფხაზეთში ქართველებს?**

## დემოგრაფიულ პრობლემებზე ფიქრობენ

**ახალი წლიდან აფხაზეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში აფხაზეთის ე.წ. მთავრობის დადგენილება ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ე.წ. სოციალური დაზღვევის ფონდი ახალშობილების დაბადებისას ფულადი კომპენსაციების გაცემას იწყებს.**

**დადგენილების მიხედვით, ფეხმძიმე ქალები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხვაზე დგანან და ფეხმძიმობის ადრეულ პერიოდში იმყოფებიან, ყოველთვიურ დახმარებას 300 რუსული რუბლის ოდენობით მიიღებენ.**

**ბავშვის დაბადებისას, რომლის მშობლები მუშაობენ, დახმარება – 4000 რუსულ რუბლს, თუ მშობლები არ მუშაობენ – 3500 რუსულ რუბლს შედგენს.**

**აფხაზური ე.წ. მთავრობა ბავშვის მკვდრად შობის შემთხვევაშიც გასცემს კომპენსაციას – 2000 რუსული რუბლის ოდენობით. მათი დაკრძალვისთვის კი – 1000 რუსულ რუბლს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ აზრი

## საქართველო მსოფლიო ლიდერია... მხიარულებასა და განურჩევლობაში

**შინაურთ თუ გარეულთ ჩვენს მიმართ უტყუარი შთაბეჭდილება რჩებათ: ქართველი მეტისმეტად სიცოცხლისმოყვარეა. ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ირგვლივ ყველგან და ყოველთვის ისმის მხიარული ჟრიამული, სიცილ-კისკისი, მაშინაც კი, როცა ლამის ჭერი გვენგრევა ხოლმე თავზე.**

თითქმის საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით, სამშობლო დაქუცმაცებულია, გავმათხოვრდით და მაინც ვუდარდელობთ, ვლაღობთ. სხვაგან ასე არაა და ვერც იქნება. ეს ქართველთა ხასიათის ხვედრია. აი, რა ძლიერ გვიყვარს სიცოცხლე! ამ გენეტიკურ გრძნობას ვერავითარი განსაცდელი ვერ ანელებს. მაგრამ ერთი სერიოზული საფრთხეა – ვაითუ ეს გრძნობა ყველაფრის მიმართ განურჩევლობაში გადაიზარდა, როგორც ეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებისას მოხდა, ანუ ხალხი ინდიფერენტული გახდა ქვეყნის ბედის მიმართ. როგორიღა იქნება მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები? აი, კითხვა, რომელიც ყველას უნდა აღელვებდეს, უპირველესად კი, მრავალი ფუჭი დაპირებით ხელისუფლების სათავეში მოსულ მთავრობას. დიახ, მხიარულებასა და არხეინად დროსტარებაში სხვებს ბევრად ვჯობივართ, მაგრამ მოწინავე ერებს, მოდით, ნუ ჩამოვრჩებით სასარგებლო საქმიანობაში, წესიერებაში, გონიერებაში, კანონმორჩილებაში, განსაცდელში მყოფი სამშობლოს მხარდაჭერაში. ვიყოთ საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულნი, მოწინავე ერების ოჯახში გაერთიანების დიდი შანსი გვაქვს. ეს კი საქართველოს ისტორიული გაბედნიერებაა. თუ მანამდე მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოთა ექსპანსიონისტური ზრახვების საგანი ვიყავით, მერე აყვავება და უსაფრთხოება გარანტირებული გვექნება.

**არჩილ დოლიძე**



ბუმინ



ცხრაასიანი და ათიანი წლების რუსეთის ორი დიდი მედროვის გრიგორი რასპუტინისა და მიხეილ ანდრონიკოვის დუეტი საბედისწეროდ ექცა იმპერიას და დააჩქარა რომანოვების 300-წლიანი დინასტიის დალმართზე დაქანებული თვლებმორყეული ეტლის უფსკრულში გადაჩეხვა

ისტორია

# თავადი ანდრონიკოვი: კაცი-გამოცანა

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სერგეი ვიტეს ყოფნის პერიოდში მ.ანდრონიკოვი რამდენჯერმე გაგზავნეს გერმანიაში. იგი პირადად იცნობდა და ამ მგზავრობის დროს წარუდგა კიდეც იმპერატორ ვილჰელმს. კაიზერისგან პორტრეტიც კი მიიღო სამახსოვრო წარწერით, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, უმალ დააძრობდა ხოლმე.

მიმოწერა ჰქონდა გერმანიის არისტოკრატიის წარმომადგენლებთან, იქაურ უმაღლესი წრის მანდილოსნებთან. მასთან გერმანიიდან ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე სხვადასხვა ხალხი, რომლებიც თავს კომერსანტებად ასაღებდნენ.

თავად საერთოდ კარგად იყო განწყობილი გერმანიისადმი და ამას არც არასოდეს მალავდა გარეშეებთან საუბრისას. მაგრამ, ამასთან, საკმაოდ კონსერვატორი მონარქისტიც გახლდათ. გერმანიის მომხრე, უბრალოდ, იმის გამო იყო, რომ მისი სიყვარული სიჭაბუკის წლებიდან ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი.

ჯაშუშობა ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ ბევრი რამ მართლაც საეჭვოდ გეცემა თვალში!

1915 წლის ზაფხულში კონტრდაზვერვამ სასტუმრო „ბელვიუში“ მისი ბინა გაჩხრიკა. აღმოაჩინეს სამხედრო დოკუმენტები, რომლებთანაც მ.ანდრონიკოვს არავითარი დამოკიდებულება (მით უფრო, სარგებლობის უფლება!) არ შეიძლება ჰქონოდა. მათ შორის იყო დოკუმენტი ასეთი სათაურით: „საარმიო რეზერვისა და შეიარაღების მდგომარეობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდა მესამე საარმიო კორპუსის მეთაური, ინფატერიის გენერალი ნიკოლაი ეპანჩინი. თუ რატომ და ვისთვის დაიწერა იგი, ამის გონივრული ახსნა, დაკითხვაზე ვერც ეპანჩინმა და ვერც ანდრონიკოვმა ვერ შეძლეს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოიცა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, რომლითაც ეს დამსახურებული ჯარისკაცი სამსახურიდან დაითხოვეს მუნდირის ტარების უუფლებოდ, იმ ბარათის შედგენისთვის, რომელშიც მან, ეპანჩინმა, „თავს უფლება მისცა აესახა სამხედრო ხასიათის მეტად საიდუმლო ცნობები“. ანდრონიკოვს კი ხელი არ ახლეს. მაშინ მას ჯერ კიდევ მფარველობდა გრიშა რასპუტინი.

ისიც საეჭვო იყო, რომ გახურებული ომის დროს თავადს, სამოქალაქო პირს, რიგაში — უშუალოდ ფრონტის ხაზზე, მე-12 არმიის განლაგებაში შესასვლელი საშვი ჰქონდა. თვითონ ასე განმარტა, საშვი არმიის სარდალმა გენერალმა მ. ბელიაევმა მომცა, რადგან... სიჭაბუკისდროინდელი საყვარელი ქალაქის ნახვა მომენატრა, ოღონდ ჩასვლით არ ჩავსულვარო. მასვე ჰქონდა იმავე მე-12 არმიის საველე გაზეთების მთელი კომპლექტი, რომელთა გატანა არმიის განლაგებიდან სასტიკად იყო აკრძალული. განაცხადა, რედაქტორი, ჩემი მეგობარი პოდპოლკოვნიკი ტულუზაკოვი მიგზავნიდა ჩუმადო.

ახლა მხოლოდ ღმერთმა იცის, იყო თუ არა იგი მართლაც დაკავშირებული გერმანიის დაზვერვასთან, უფრო სავარაუდოა, რომ — არა. ერთი კია, 1942 წელს გერმანიაში გამოიცა წიგნი მ. ანდრონიკოვის ცხოვრების აღწერით, სადაც ხოტბა აქვს შესხმული მის მოქნილობასა და გერმანიის სასარგებლოდ საქმიანობას. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ბერლინში ამ წიგნის დაბეჭდვისთვის რომ მოიცალეს, ვინ იცის, იქნებ ჰქონდათ კიდეც საამისო საფუძველი!

* * *

1916 წლის ზაფხულიდან მ. ანდრონიკოვის მდგომარეობა შეირყა. ამაში გადამწყვეტი როლი რასპუტინთან განხეთქილებას მიუძღოდა. ის, რაც სამეფო კარმა და დიდგვაროვანმა მინისტრებმა ვერ შეძლეს, ციმბირელმა გლეხუჭამ შეძლო.

როგორც თვითონ მიხეილი აღნიშნავს, „წმინდა ბერი“ 1914 წელს გაუცნია. „შემთხვევით“ შეხვედრა მჭიდრო მეგობრობასა და საქმიან ურთიერთობაში გადაიზარდა. რასპუტინი ანდრონიკოვთან ხშირად დაიარებოდა „უხაზე“, რასაც გაქნილი თავადი „ბუნების ლაღი შვილის“ საამებლად სპეციალურად ამზადებინებდა. როგორც კი აბრეშუმის ხალათში, ხავერდის შარვალსა და გარმონივით ჩაკეცილ ჩექმებში გამოწყობილი გრიშკა მოგრიალდებოდა ეტლით ან სამხედრო უწყების გარაჟიდან გამოყვანილი ავტომანქანით, თავადის ბინაში მაშინვე გაჩნდებოდა ხოლმე ვინმე ქალბატონი ჩერვინსკაია, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსეი ხვოსტოვს მეთვალყურედ ჰყავდა მიჩენილი რასპუტინისთვის (ეს ქალი, თავის მხრივ, ანდრონიკოვის მეგობარიც იყო).

მათმა სიახლოვემ ზენიტს 1915 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მიაღწია, როცა ანდრონიკოვმა გრიშკას საშუალებით მოიპოვა დედოფლის ფრეილინა ანა ვირუბოვას ნდობა და საუკეთესო ურთიერთობა დაამყარა სტატს-დამა ალექსანდრა ნარიშკინასთან, რომელიც ისე ახლოს იყო მეფის ოჯახთან, რომ ნიკოლოზ II შინაურ წრეში („ტანტე საშას“ — „დეიდა საშას“) უწოდებდა.

ცხრაასიანი და ათიანი წლების რუსეთის ორი დიდი მედროვის გრიგორი რასპუტინისა და მიხეილ ანდრონიკოვის დუეტი საბედისწეროდ ექცა იმპერიას და დააჩქარა რომანოვების 300-წლიანი დინასტიის დალმართზე დაქანებული თვლებმორყეული ეტლის უფსკრულში გადაჩეხვა.



**1910 წლის კარიკატურა: რასპუტინი თავის ნებაზე ათამაშებს მეფე-დედოფალს**

ეს რასპუტინისა და ანდრონიკოვის ხელი ერია იმ პერიოდის „სამინისტროთა აჯაფსანდალში“: 1915 წლის შემოდგომიდან 1916 წლის შემოდგომამდე შეიცვალა ხუთი შინაგან საქმეთა მინისტრი, სამი სამხედრო მინისტრი, ოთხი მიწათმოქმედების მინისტრი და ა.შ. ბანქოს ქაღალდივით ურევდნენ იმპერიის მინისტრთა კაბინეტს იმის მიხედვით, ვინ უფრო გამოადგებოდათ იმ კონკრეტულ მომენტში ამა თუ იმ თანამდებობაზე. მარტო ომის წლებში დაინიშნა და განთავისუფლდა დაახლოებით 20 მინისტრი და რამდენიმე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

რასპუტინმა და ანდრონიკოვმა პირდაპირ დასვეს თანამდებობაზე ა.ნ. ხვოსტოვი (შინაგან საქმეთა მინისტრად) და ბ.ვ.შტიურმერი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ). ხვოსტოვმა გამოძიებასაც კი ვერ დაუმალა, რომ „ანდრონიკოვმა გარკვეული მონაწილეობა მიიღო იმაში, რომ შეერბილებინა ჩემს მიმართ დედოფლის ცივი დამოკიდებულება“.

საგანგებო კომისიაში დაკითხვებისას (ორჯერ დაჰკითხეს) ბოლომდე ვერც თვითონ უარყო, რომ მართლაც ურევდა ხელს უმაღლეს საკადრო პოლიტიკაში: „პაჟთა კორპუსში სწავლისას ბევრი მომავალი მოღვაწე გავიცანი. ბოლო ხანს გაზეთებში წერდნენ მთავრობაზე ჩემი რაღაც გავლენის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს ძალზე გაზვიადებულია. ფაქტობრივად, ეს იყო არა გავლენა, არამედ კეთილი ურთიერთობა ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის პირთან“.

* * *

როგორც ვთქვით, ყველა მის მოქმედებას პირადი დაინტერესება, მათ შორის, კომერციული მიზნები ედო საფუძვლად. მაგრამ არა მხოლოდ ეს. მთავარი მაინც მისი პატივმოყვარეობა იყო.

არც ერთი პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებითა და კარნახით არ მოქმედებდა, არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა და არ ეყრდნობოდა, სრული პოლიტიკური უპრინციპობით გამოირჩეოდა. ანდრონიკოვს შეეძლო, ესა თუ ის პირი შეერჩია მინისტრად და რუსეთი ამ მინისტრს მიიღებდა, მაგრამ იგი სასარგებლო იქნებოდა არა რომელიმე პარტიისთვის, არამედ — პირადად მისთვის. მისი მიზანი იყო რუსეთს ჰყოლოდა ისეთი მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მას აძლევდა ხელს. ამ დროს მისთვის სახელმწიფო ინტერესები არავითარ როლს არ ასრულებდა.

და წერილებს სწერდა მეფეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებს, დიდ მთავრებს, მინისტრებს, აქებდა ან აძაგებდა, საჭირო მომენტში მხარს უჭერდა ამა თუ იმ პირს (სხვათა შორის, პროტეჟეებს წინასწარ უჩვენებდა ხოლმე ამ წერილებს, რათა სცოდნოდათ, ვისი მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ).

მართლაც დიდი გავლენა და წონა ჰქონდა. დრო იყო, ისეთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ სხვადასხვა პერიოდის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები ვლადიმერ კოკოვცევი, ივან გორემიკინი და სხვები, ბინაზე ეახლებოდნენ ხოლმე რასპუტინთან ერთად...

* * *

რასპუტინისა და ანდრონიკოვის ძმობა და „მეპაიეობა“ 1916 წლის იანვრამდე გაგრძელდა, გახმაურებულ „კატების დახოცვამდე“... ეს საკმაოდ თავშესაქცევი ამბავია, მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინ.

მაშ ასე: ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს პეტერბურგში სენსაციური ხმა დაირხა, რასპუტინს სახლში... კატები დაუხოცესო. ეს თავისთავად რა სენსაცია შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არ შემხვედრი ბუნებრივი კითხვა — რატომ? აქ ამბის მთხრობელნი ხმას დაუწევდნენ და ჩურჩულით ამცნობდნენ თანამოსაუბრეთ, შეეშალათ, თვითონ რასპუტინის მოწამვლა უნდოდათო. ჭორი ათას ვინმეს სდებდა ბრალს, მათ შორის, ანდრონიკოვსაც. სინამდვილეში რა მოხდა, როგორ იყო საქმე, დაბეჯითებით რატომ ამოტივტივდა ამ ამბავთან დაკავშირებით ანდრონიკოვის სახელი?

სასახლის თხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს რასპუტინისთვის მიჩენილი ჰყავდა დაცვა, რომელსაც, ანა ვირუბოვას რეკომენდაციით, ჟანდარმერიის გენერალ-მაიორი მიხაილ კომისაროვი ხელმძღვანელობდა. ერთ დროს რასპუტინისა და ანდრონიკოვის პროტექციით შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულმა, შემდეგ კი გრიშკას მიერვე გადმოყირავებულმა და ამ ნიადაგზე მის დაუძინებელ მტრად ქცეულმა ა.ხვოსტოვმა რასპუტინთან უკვე გაშინაურებულ კომისაროვს (მისი ცოლი გრიშკას ბინის — გროხოვაიას № 64-ის ფეხმოუცვლელი სტუმარი იყო) „წმინდა ბერის“ იმქვეყნად გასტუმრებაში შემწეობა სთხოვა. კომისაროვი ჯერ დათანხმდა, მაგრამ შემდეგ შეყოყმანდა, უკვე შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ დანიშნულ ბელეცკის შეევაჭრა, რომელსაც სულაც არ აძლევდა ხელს თავისი კეთილისმყოფლის სიკვდილი. ერთი სიტყვით, ჟანდარმმა ჟანდარმული ხასიათი გამოავლინა: ვისთან უფრო ხელსაყრელია სამსახური, ვინ უფრო მეტს მისცემს — წარმავალი ხვოსტოვი თუ ამომავალი ბელეცკი? ამ იწილო-ბიწილოში იდეის ავტორს სულაც ეჭვი შეეპარა, შეეძლო კი, საერთოდ, ამ კაცს ასეთი დელიკატური მისიის შესრულება? ჰოდა, თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად გენერალმა, იმის ნაცვლად, რომ რასპუტინისთვის ჩაიში ჩაეყარა, დარიშხანი რძეში გახსნა და გრიგორის მრავალრიცხოვან კატებს დაუდგა...

როდესაც რასპუტინი სახლში დაბრუნდა და თავისი საყვარელი ფისოების უბედურება იხილა, ბოღმით თქვა: „ეს თავადმა ანდრონიკოვმა მომიწამლა კატები!“

ანდრონიკოვი იფიცებოდა, საერთოდ არ ვყოფილვარ იმ დღეს გროხოვაიას 64-შიო. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ, როგორც იტყვიან, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა. ქვეყანას უმალ მოედო ეს ამბავი, თანაც ახალი ინტერპრეტაციით — ცხოველები უნებლიე მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, „მამა“ გრიგორის მოკვლა უნდოდაო. ჭორი ხალას სიმართლედ მიითვალა ანა ვირუბოვამ, მისი გავლენით კი — დედოფალმა და სასახლის კომენდანტმა ვოეიკოვმა...

ანდრონიკოვისთვის სასახლის კარი დაიხურა, ამჯერად — სამუდამოდ. რამდენიმე თვით შემდეგ კი ყველაფერი რიაზანში გადასახლებით დამთავრდა.

რა თქმა უნდა, გრიშკასა და მიხეილს შორის მხოლოდ „კატების ამბის“ გამო არ გაურბენია შავ კატას. ეს, უბრალოდ, საბაბი გახლდათ.

განხეთქილების მიზეზი უფრო ღრმად არის საძიებელი. მათი მეგობრობა საქმეს, ორივესთვის ერთნაირად სისხლხორცეულად საინტერესო სხვადასხვა მაქინაციას ეფუძნებოდა და არა სულიერ სიახლოვეს. ისინი აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნებები იყვნენ. ერთი — ტლუ, ბნელი გლეხუჭა, მეორე — განათლებული, ბრწყინვალე არისტოკრატი. საერთო მხოლოდ ცხოვრების ავანტიურისტული ნირი და გაქნილობა ჰქონდათ. რასპუტინს არისტოკრატები სძულდა, გულის სიღრმეში სძულდა ანდრონიკოვიც. არც თავადი იყო ბრმა. „იგი რასპუტინს გარდუვალ ბოროტებად მიიჩნევდა, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინო“, — წერს ს.ბელეცკი. ასეთი ადამიანების სიახლოვე მხოლოდ დროებითი, მომენტით ნაკარნახევი შეიძლებოდა ყოფილიყო. სანამ ერთმანეთი სჭირდებოდათ, ერთად იყვნენ, როცა ამის საჭიროება აღარ იყო, ერთმანეთს დასცილდნენ. მოხდა ის, რაც გარდუვლად უნდა მომხდარიყო, მაგრამ ყველაფერი ნელ-ნელა, თანდათან განხორციელდა.

თუ მანამდე რასპუტინი თითქმის ყოველდღე დადიოდა ოტელ „ბელვიუში“, შემდეგ ანდრონიკოვი ეახლებოდა ხოლმე გოროხოვაის 64-ში... ბოლოს ყველაფერი, როგორც ვთქვით, რიაზანში გასახლებით დამთავრდა: გრიშკამ ისე მოიმაგრა წერი, რომ მიხეილი აღარ სჭირდებოდა, უფრო მეტიც, მისთვის უკვე საშიში მეტოქე გახდა. ანდრონიკოვს ვერც რასპუტინის უახლოესი მეგობრისა და მესაიდუმლის — ტობოლსკისა და სიბირსკის არქიეპისკოპოს ვარნავას შუამდგომლობამ უშველა, რომელიც თვეების მანძილზე ცხოვრობდა ხოლმე ანდრონიკოვის ბინაზე და მის სამზარეულოში იკვებებოდა.

ზოგმა (მაგალითად, ა.ხვოსტოვმა) რასპუტინისა და ანდრონიკოვის წაკიდების მიზეზად ის იგუმანა, „წმინდა ბერი“ თავადმა და სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ვლადიმერ სუხომლინოვმა „ვერ გაიყვესო“.

ანდრონიკოვ-სუხომლინოვის ურთიერთობა-მოყვრობაზე აღმოცენებული უკიდეგანო სიძულვილის ამბავი ცალკე თხრობის ღირსია.

**ალეკო ასლანიშვილი**

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 9.**

● აბა ვინ მოელოდა, ესოდენ პატივსაცემი პიროვნება ბოლოჟამს უსულგულოთა უშნო ექსპერიმენტის მსხვერპლად თუ იქცეოდა...



№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

◎ რაც თვალს არ გამოეპარა

## შესაბოლად გამეტებულები

**ყოველდღე ავტობუსით ვმგზავრობ. ხან 39-ში ავალ, ხან 71-ში — გააჩნია, რომელი უფრო მალე მოვა. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, გვარიანად კი იგვიანებენ**



**ხოლმე! მახსოვს, ავტოტრანსპორტის სამსახურში მითხრეს, ინტერვალს ავტობუსებს შორის 8-10 წუთამდე დავიყვანთო. თქვენც არ მომიკვდეთ! ხშირად კაი ნახევარი საათიც გვიხდება ლოდინი!**

აი, როგორც იქნა, ქვეყნის პირველი ლედის ნაჩუქარმა (როგორც თბილისელები იტყვიან ხოლმე: ყვითელმა ავტობუსმა ჩვენამდეც მოაღწია. ავედი და უკანა სავარძელს მივაშურე, რადგანაც სხვა ადგილები დაკავებული იყო. ბევრი მგზავრი ფეხზე იდგა და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა ჩემს ადგილზე რატომ ესენი არ დასხდნენ-მეთქი. მიზეზიც მალე გაირკვა: დავიძარით თუ არა, ავტობუსის ბოლო ნაწილში დიზელის ნამწვის საშინელი სუნი დატრიალდა. ზოგს ცხვირის ცემინება აუტყდა, ზოგს — ხველება. „სანამ აქედან ჩავალ, ტარანივით გამოვშრებიო“, — ამბობს ერთი. „მაშ, კაცო, რაჭული ლორივით გამოგვიყვანენ“, — კვერს უკრავს მეორე.

ასე ხველებით და ცხიკინცხიკინით მივლოლავთ. დიახ, სწორედ რომ მივლოლავთ, რადგან მძღოლი ავტობუსს წარამარა აჩერებს — საკმარისია, ვინმემ ხელი დაუქნიოს. გასაგებია — მგზავრებს აგროვებს, აბა, ცარიელი ხომ არ იხრიგინებს. იქით ბიუჯეტში უნდა შეიტანოს, აქეთ — ოჯახში. ორივე უძირო ქვევრია.

— ჰე, კაცო! დაგვაყენე საშველი, გვაგვიანდება! შენ თუ ასე წარამარა ამუხრუჭე, ეს ხალხი გაჩერებამდე მისვლას საბოლოოდ გადაეჩვევა! — ულრენს მძღოლს ხანდაზმული მამაკაცი.

— შენ რა გენაღვლება, მე კი საღამოს 180 ლარი უნდა ჩავაბარო! — იხტიბარს არ იტეხს ავტობუსის პატრონი.

გაჩერდება და უკანა კართან ატყდება გნიასი — გახსენი, არსად არ გაგექცევი, გადავიხდი! — ყვირის ჩანთებმოკიდებული ქალი.

— კონტროლიორი მაინც დასვან, კაცო! აქედან ჩასულთა უმეტესობა მგზავრობის საფასურს არ იხდის, — მძღოლის მხარეს იჭერს ჭაღარა მამაკაცი.

— კონტროლიორს ხელფასი სჭირდება, ძამია, ესეც ხომ ხარჯია!

— გადაიხადეთ, გადაიხადეთ! — ისმის მძღოლის გაღიზიანებული ხმა. — ტელევიზორს არ უყურებთ, ვერ გაიგონეთ, რომ შეღავათები მოიხსნა? გადამრევს ეს ხალხი!

ერთი სიტყვით, ვის რა აწუხებს და ვის რა. მაინც მილოლავს, მიგრიხინებს დიზელის ნამწვის სუნით გაჟღენთილი ავტობუსი...

## „აორთქლდა“ თუ „ააორთქლეს“?



**არც ისე დიდი ხნის წინათ ბარათაშვილის ხიდზე ხუთი ახალგაზრდის ბრინჯაოს ფიგურა დაამონტაჟეს. დიდი მითქმა-მოთქმა კი გამოიწვია — ხალხი შიმშილით ერთმანეთს ეყუდება, ამათ კი (ხელისუფლებამძ ამ უმაქნის ფიგურებში 100 ათას ლარზე მეტი დახარჯესო. იქნებ არის კიდეც ამაში სიმართლის ლოგიკა, მაგრამ... ასეა თუ ისე, თვალი მიეჩვია იმ ფიგურებს. ეგეც არ იყოს, რახან რაღაცა მაინც კეთდება, უნდა მოვუფრთხილდეთ კიდეც!**

სამწუხაროდ, მიჩვეულმა თვალმა მალე შეამჩნია, რომ... ერთი ფიგურა სადღაც გაპარულა. არ მითხრათ ახლა, სირცხვილს გაექცაო... რატომ გაიქცეოდა, როცა მშვენიერი ქალიშვილის ალერსში იყო ჩამხრჩვალი. ვიღაცამ იხუმრა, ალბათ, მტკვარში გადახტაო. ამ ყიამეთ ზამთარში ცივ წყალში ჭყუმპალაობას იმ ქალიშვილთან ჩახუტება არ ერჩია?

დანაკარგის შესახებ არანაირი ცნობისთვის ყური არ მომიკრავს. იქნებ თქვენ იცით რამე, ჩემო მკითხველო? თუ იმისთვის მოგლიჯეს, ვითომ პორნოგრაფია იყო, და ამით პროტესტი გამოხატეს, მაშინ რატომ არ აპროტესტებენ ტელესერიალებს, საქართველოს თითქმის ყველა არხი დილიდან საღამომდე გაუთავებლად რომ ატრიალებს. რა, განა ისინი უხამსობას, ღალატსა და ერთმანეთის „გადაგდებას“ არ ქადაგებენ?

ეეჰ, ჩემო ბატონო...

## დაიწყეთ, პოლიციელებო!

**რამდენი ხანია, მიწისქვეშა თუ მიწისზედა გადასასვლელებს სათოფეზე აღარ ვეკარები! მახსოვს, ერთხელ, მწვანე ჯეილობისას, ყოფილ ლენინის მოედანზე შუაღამისას როგორ გამაჩერა მილიციელმა და გვარიანად შემახურა, უადგილო ადგილას რატომ გადმოსჭერიო ქუჩა. ის იყო და ის, ასეთი რამ აღარ ჩამიდენია... ოთხმოცდაათიან წლებამდე, სანამ ძაღლი და მამაძაღლი არ აირეოდა. ახლა, რა დაგიმალოთ და, მეც წამძლევს ხოლმე სული და მანქანების პიპინ-გრიალში ასაკთან შედარებით ძალზე სხარტად გადავდივარ, სადაც მომეპრიანება...**

სადღაც მოვკარი ყური, საპატრულო პოლიცია მალე ურჩ ფეხით მოსიარულეებს პასუხს მოსთხოვსო.

მერედა, რამდენი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შევინარჩუნებთ! დაიწყეთ, პოლიციელებო! გადადებული საქმე ეშმაკისაა!

**გური ჯანელია**




◎ SIC!

***...ახალი წელი ვეღარ გაუთენდა ფეხმოტეხილ, მწოლიარე ინვალიდს ლიუშ ოვანესის ასულ პაპახჩიანს, — ყველანაირად წარჩინებულ ოთხმოცი წლის მოხუცს. წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე დგება ადამიანი, როცა სიკვდილისწინა ჟამს სრულიად უსაფუძვლოდ, ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პენსიას უხსნიან უმნიშვნელო საბაბით — მეორე, შინაურული სახელის არსებობით ერთ-ერთ საბუთში!.. ეს ხომ მარტო შეურაცხყოფა არ არის, ეს მოქალაქეობრივი უფლებების შეურაცხყოფაცაა.***

# კეთილშობილების მწვავე უკმარისობა

ომის ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ რამდენიმე თვეში ვერ დაადგინა ჭეშმარიტება, ხოლო კანცელარიის თანამშრომელმა, ვინმე უროტაძემ, განცხადებაზე თანდართული მეზობელთა დამოწმება-დასტური ავი განზრახვით გადამალა და ბოლოს იძულებით გამოაჩინა. დეპარტამენტმა უპენსიო ინვალიდი სასამართლოში გაგზავნა, თითქოს მას სიარული შეძლებოდა! აი, ირონია!

ვამბობთ სასამართლოო, როცა მსგავსი რამ ჩვენთან არ არსებობს. მოსამართლე მაკა ჭედიას ხელთ თერთმეტნაირმა ცნობა-საბუთმა მოიყარა თავი, თუმცა, ეს მან არ იკმარა და „ხარვეზების გამო“ საქმე არ გაარჩია. ბოლოს, საწყალ მომაკვდავს ხელი სააპელაციო სასამართლოსაკენ გაუშვირეს. ამ მოლოდინში კი საცოდავ დღეში მყოფ ლიუშ პაპახჩიანს გულმა უმტყუნა, 31 დეკემბერს, ღამის 11 საათზე ის გარდაიცვალა.



ახლა ვინ უნდა აგოს პასუხი ამ ცოდვისთვის? ექვსი თვე გრძელდებოდა ეს გაწამაწია. ამ ხნის განმავლობაში, ულუკმაპუროდ და უწამლისფულოდ იმყოფებოდა ისედაც მომაკვდავი, ბედით განწირული ადამიანი. ნუთუ ამის მიხვედრა და გაგება ესოდენ ძნელი, შეუძლებელი იყო იმათთვის, ვისი ხელშეწყობითაც ფრიად განაწყენებული, დაჩაგრული, უმადური გაისტუმრეს საიქიოს?!

დიახ, ახლა ლიუშ პაპახჩიანს აღარც სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაჭირდება და არც სხვა რამ. ღმერთმა მას სავანე თავისსავე მშობლიურ სოფელში მიუჩინა, სადაც იშვა და გაიზარდა — ვანაძორში. ნათესავებმა პატივით დაკრძალეს.

აქ ისმის ელემენტარული კითხვები: რატომ უნდა მომხდარიყო ისე, რომ მომაკვდავ ინვალიდს ნახევარი წლის პენსია მიუღებელი ჰქონოდა? განა სასამართლო შეიძლება ეწოდოს იურისტთა ისეთ თავყრილობას, რომელიც ასე ხელოვნურად აჭიანურებს მოქალაქის ნამდვილი სახელის დადგენას, ვიდრე იგი არ გარდაიცვლება? ან რა სახელმწიფო აპარატია იმის ჩამდენი, როცა, ჰუმანურობას ვინ ჩივის, დემოკრატიულობის ნასახიც არ ჩანს მის ანტიკანონიერ მოქმედებაში? ნუთუ, დემოკრატიულ ღირებულებათა აღორძინების ჟამს ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს ჭეშმარიტი სასამართლო, სადაც ადამიანს საშუალება ექნება დაიცვას საკუთარი სიმართლე და ჩანასახშივე აღიკვეთოს კორუმპირებულთა თვითნებური თარეში?!

აშკარად ეტყობა, ძველი მენტალიტეტი რარიგ გვიშლის ხელს... ქვეყნად რამდენი უკუღმართობა მომხდარა. წუთისოფელი ხომ დასაბამიდანვე, თავისი არსითა და ბუნებით, უსამართლოა, რადა გასაკვირია ერთი ღრმა მოხუცებულის ხვედრი. თუმცა, ამ კონკრეტულ უბედურ ამბავს თავისი ახსნა-განმარტება აქვს — ესაა პირწავარდნილი დაუდევრობა თანამდებობის პირთა მხრიდან.

თავის დროზე ლიუშ პაპახჩიანი პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა: მღეროდა, ცეკვავდა, ლექსებსაც თხზავდა, გამოდიოდა კონცერტებზე, „კათარზისის“ პრიმა მსახიობად ითვლებოდა. აბა ვინ მოელოდა, ესოდენ პატივსაცემი პიროვნება ბოლოჟამს უსულგულოთა უშნო ექსპერიმენტის მსხვერპლად თუ იქცეოდა... ამ საკითხს ღრმად გარკვევა ესაჭიროება თუნდაც იმისთვის, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს.

...ნეტავ იმის უფლება გამაჩნდეს, რომ მრავალ ჩინოვნიკთა ნაცვლად ბოდიში მოვუხადო უსამართლობით დაბეჩავებულ ლიუშ პაპახჩიანს იმ ცოდვისათვის, რაც მას არგუნეს, რამაც ისე დააჩქარა მისი სიკვდილი, რომ უპენსიოდ დატოვებულს, ახალი წლის შეხვედრა არ დასცალდა...

**აკაკი დოლიძე**

◎ პოზიცია

# მომავალი არ გვექნება... მე-4 ტიპის ადამიანთა წყალობით

**თავისუფლებისთვის ბრძოლა ყველა კეთილისმყოფელი ადამიანის, მთელი ერისა და კაცობრიობის უზენაესი მიზანია. ამ ბრძოლას შეეწირნენ ჩვენი დიდი თანამემამულენი, სამშობლოს ნამდვილი შვილები, მათ კარგად იცოდნენ, რომ „მონური ფსიქიკის“ მქონე საზოგადოებრიობა განწირულია დასაღუპად — შელახულია მისი ღირსება, შეფერხებულია მისი წინსვლა და განვითარება.**

ჯერ კიდევ ვებერმა იწინასწარმეტყველა, რომ XX საუკუნე წარმოშობდა ე. წ. მე-4 ტიპის საშიშ ადამიანს, ვინც თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ იბრძოლებდა. ასეთი ადამიანები დღესაც მრავლად მოიპოვება. დასტურად თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და ოსეთის ხელისუფალნიც საკმარისია. მათ რუსეთის მონობა ურჩევნიათ ერთიან საქართველოში ცხოვრებას, ყველანაირად ცდილობენ, რომ საქართველო კვლავ რუსული ჩექმის ქვეშ გმინავდეს. ოღონდ, კი „გაერთიანდნენ“ რუსეთთან და მათ ამისათვის ჩექმებსაც გაულოკავენ.

რუსეთი, ცხადია, მხარს ყოველთვის სეპარატისტებს დაუჭერს, რადგან იგი არასდროს არ იქნება დემოკრატიული ქვეყანა. რუსეთის მთავრობა, „დუმა“ დაკომპლექტებულია ვებერის IV ტიპის საშიში ადამიანებით. ისინი საფრთხეს უქმნიან არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს. ამიტომ რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკება მხოლოდ წყლის ნაყვაა. ძნელია იმის თქმა, თუ როდის განთავისუფლდება საქართველო რუსეთის წნეხისგან, როდის გავლენ ე. წ. „მშვიდობისმყოფელები“ საქართველოდან. რუსეთს ორივე ყურით ასე დაჭერილი ჯერ არ ვყოლივართ. სანამ მთელი მსოფლიო პუტინს ელაქუცება, საქართველოს თავისუფლება ყოველთვის სათუო იქნება. ასეთი ფსევდოთავისუფლება ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენს დემოკრატიასაც.

ჩვენი თავისუფლება უფრო აღვირახსნილობას ჰგავს. ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა თავისუფლება აღვირახსნილობად აღიქვა. მათთვის უცხოა მორალი, ზნეობა. დააკვირდით მათ ქმედებებს, საუბარს და დარწმუნდებით, რომ ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს. ის ახალგაზრდები, საკუთარ დედებს რომ აგინებენ, ღირსეულ ქვეყანას ვერ ააშენებენ.

ახლა სახადივით მოდებული ნარკომანია?! არც განათლების, არც კულტურის, არც შს სამინისტროები ყურსაც არ იბერტყავენ. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ მომავალი არ გვექნება.

**მ. მდინარაძე,**
**ფსიქოთერაპევტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი**

# ზარი

● დღეს ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი უცხოური თუ სამამულო უხარისხო, ჯანმრთელობისთვის მავნე და ხშირად სიცოცხლისთვის საშიში პროდუქციის გასაღების ბაზარია

## ◎ რას ვჭამთ, რას ვსვამთ?



# ჩვენი გაბაზრებული ბაზარი და დაუცველი მომხმარებელი

**ყველაფერში, განსაკუთრებით გადასახადების ოდენობასა და მოცულობაში, ევროპას რომ ვეტოლებით, იქნებ მას საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის ზრუნვაშიც მივბაძოთ?**

*რამდენად უსაფრთხოა ჩვენს მაღაზიებსა და ბაზრობებზე გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები? ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე ხომ არ ემუქრება? — ეს კითხვები ხშირად ისმის.*

*საკვებ პროდუქტებზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, არსებული ყველა მაკონტროლებელი სამსახური გაუქმდა და მათ ნაცვლად შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო სტრუქტურა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური“. ანალოგიურ საკითხებს იკვლევს აგრეთვე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია.*

*ერთ-ერთი მათგანია კავშირი „XXI საუკუნე“, რომელიც ფონდ „ევრაზიის“ სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით რეგიონალურ პროექტს („საზოგადოებრივი სამომხმარებლო ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში საკვები პროდუქტების უსაფრთხოების გაზრდისათვის“) ახორციელებს.*

*ამას წინათ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციამ აღნიშნული პროექტის ფარგლებში თბილისის სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგის შედეგები განიხილა. წარმოადგინეს რამდენიმე მსხვილ სუპერმარკეტსა და ჩვეულებრივ სავაჭრო ობიექტში, აგრეთვე თბილისის, რუსთავისა და მარნეულის ბაზრობებზე არსებული საკვები პროდუქტების ნიმუშები, მათი რეალიზაციასა და შენახვის პირობების ამსახველი უამრავი ფოტომასალა. ამის თაობაზე ვესაუბრე კავშირ „XXI საუკუნის“ მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორს შალვა მელქაძეს.*

**— ბატონო შალვა, როგორც ირკვევა, მონიტორინგის შედეგები მეტად დამაფიქრებელია, რამაც პრესკონფერენციის მოწვევა გადაგაწყვეტინათ. იქნებ გაზეთის მკითხველებს უამბოთ, რა ნახეთ, რა მდგომარეობაა ბაზრობებზე, მართლაც, რას ვჭამთ და რას ვსვამთ?**

— დიახ, პროგრამის ექსპერტებს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურთ იმ სავალალო მდგომარეობაზე, რომელიც ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზეა შექმნილი, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, რიგ შემთხვევებში კი — სიცოცხლესაც.

მიგვაჩნია, რომ სურსათის სფეროში მარეგულირებელი სახელმწიფო სტრუქტურის აქტიურობის დონე სამომხმარებლო ბაზარზე შესამჩნევად დაბალია. დასტურად წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს.

| | 2004 წელი | 2005 წელი |
|---|---|---|
| უვნებლობის დოკუმენტის არსებობა | 13 პროცენტი | 0 |
| რეალიზაციის პირობების დარღვევა | 87 პროცენტი | 60 პროცენტი |
| ქართულენოვანი ეტიკეტი | 20 პროცენტი | 42 პროცენტი |
| ვარგისიანობის ვადის დარღვევა | 27 პროცენტი | 34 პროცენტი |

როგორც ვხედავთ, გაუმჯობესება მხოლოდ რეალიზაციის პირობების დარღვევათა შემცირებაში გვაქვს.

**— თქვენი აზრით, რისი ბრალია ეს?**

— ასეთი მდგომარეობა ბევრმა ფაქტორმა განსაზღვრა. კერძოდ, დღეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის მომთხოვნი სახელმწიფო ორგანიზაცია არ არსებობს. ასევე ამის მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს სავალდებულო სტანდარტიზაციიდან ნებაყოფლობით სტანდარტიზაციაზე გადასვლამ სრული ქაოსი შექმნა სერტიფიცირების სფეროში. დღეს სახელმწიფოს არც ერთი ორგანიზაცია ამ საკითხების მოგვარებაზე, სამწუხაროდ, არ მუშაობს.

**— საინტერესოა, როგორია რეალიზაციის პირობები?**

— რაც შეეხება კვების პროდუქტების რეალიზაციის პირობებს, მარკეტებში ეს პუნქტი ძირითადად დაცულია, ხოლო ბაზრობებზე თითქმის ყველგან იდენტური სურათია, სრული ანტისანიტარია სუფევს. დარღვეულია ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძის, თევზის, კრემიანი ნაწარმის, კვერცხის რეალიზაციის პირობები. ძირითადად ვაჭრობა ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს, ერთმანეთის გვერდით იყიდება ისეთი პროდუქტები, რომელთა ერთად ტრანსპორტირებაც კი დაუშვებელია, რომ არაფერი ვთქვათ მათ შენახვასა და რეალიზაციაზე, დაუცველია მტვრისგან. არცთუ იშვიათია ვადაგასული პროდუქციის გასაყიდად გამოტანის შემთხვევები, ბევრგან ვადის დადგენაც შეუძლებელია. გარდა ამისა, ფაქტობრივად არ მუშაობს მეტროლოგიური სამსახურები, გამოყენებული სასწორები დაუმოწმებელია.

**— „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, „დამამზადებელი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ“, ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქართულ ენაზე. რამდენად სრულდება ეს მოთხოვნები?**

— შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ სრულდება. ყველაზე თვალში საცემია ის ფაქტი, რომ 2004 წელთან შედარებით (როდესაც მცირედ, მაგრამ მაინც მუშაობდა საზედამხედველო ორგანოებიძ 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა სამომხმარებლო ბაზარზე არაქართულენოვანი პროდუქციის რაოდენობა. ჩვენ მონიტორინგი მხოლოდ კვების პროდუქციაზე ჩავატარეთ. თუ გადავხედავთ სამრეწველო-საყოფაცხოვრებო, სამშენებლო ნაწარმს, ბავშვთა სათამაშოებსა და ტანსაცმელს, ან სხვა საქონელს, თუნდაც მედიკამენტს, მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშოა. თითქმის ვერ ნახავთ დასახელებულ საქონელზე ქართულენოვან ინფორმაციას.

ზოგიერთი პროდუქციის სახეობის დადგენაც კი შეუძლებელი იყო. გამყიდველმაც არ იცოდა, ქილაში რა სახეობის პროდუქტი იყო მოთავსებული.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული იყო, შეემუშავებინა სურსათის ეტიკეტირებისა და სხვათა შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რაც დღემდე არ შემუშავებულა.

**— რა მდგომარეობაა საკვებდანამატების განხრით, რომლებიც მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ემატება პროდუქტებს?**

— საკვებდანამატები, როგორც წესი, მეწარმეებმა მცირე რაოდენობით უნდა გამოიყენონ ნაწარმის გარეგნული სახის თუ შენახვის ხანგრძლივობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, დადებით თვისებებთან ერთად, ზოგიერთ მათგანს უკუჩვენებაც ახასიათებს, იწვევს სხვადასხვა დაავადებას, ან ამ დაავადებათა პროვოცირებას. ამიტომ მსოფლიო წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებში მუდმივად მიმდინარეობს კვლევა ამ მიმართულებით. მათ შეადგინეს იმ საკვები დანამატების სია, რომლებმაც პროვოცირება გაუკეთეს სხვადასხვა დაავადებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არავითარი სამუშაო არ მიმდინარეობს. საქართველოში აკრძალულია ექვსი საკვებდანამატის გამოყენება, მაგრამ ქვეყანაში სათანადო ლაბორატორიის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, ნამდვილად გამოყენებულია თუ არა საქართველოში წარმოებულ პროდუქტში აკრძალული საკვებდანამატი. არაკეთილსინდისიერი მეწარმეები საექსპორტო პროდუქციის გარდა თავს იკავებენ ეტიკეტზე მათი აღნიშვნისგან, რითაც არღვევენ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

**— ბატონო შალვა, საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ. ამ მხრივ რა ვითარებაა?**

— სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა არ აწესრიგებს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების საკითხებს. ამის გამო ასეთი კულტურები და პროდუქტები ჩვენთან აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე შემოაქვთ. ოფიციალური და არაოფიციალური წყაროებიდან დადასტურებულია გენომოდიფიცირებული სათესლე მასალის იმპორტისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში გავრცელების ფაქტები. ბაზარზე არსებული საკვები პროდუქტებიც სავარაუდოდ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო, არ არის განსაზღვრული საზოგადოების უფლებები და მოვალეობანი.



მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია არაერთი პროექტი გენმოდიფიცირებული პროდუქციის ორგანიზებისა და მისგან მიღებული პროდუქციის გადაადგილების, გამოყენებისა და კონტროლის შესახებ, დღემდე ეს პროექტები არც კი განუხილავთ საქართველოს პარლამენტში. ჩვენგან განსხვავებით კი ევროპაში მკაცრად არის შეზღუდული ასეთი პროდუქტებისა თუ დანამატების გამოყენება (სავალდებულოა მისი გამოყენების ეტიკეტზე აღნიშვნაძ, დაიშვება მხოლოდ 0,9 პროცენტი. ანალოგიური მაჩვენებელია რუსეთიც. ჩვენთან კი იმის მოთხოვნაც არ არის, რომ იგი ეტიკეტზე მაინც აღინიშნოს.

**დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი უცხოური თუ სამამულო უხარისხო, ჯანმრთელობისთვის მავნე და ხშირად სიცოცხლისთვის საშიში პროდუქციის გასაღების ბაზარია და საუბარიც ზედმეტია მოქალაქეთა კონსტიტუციითა თუ სხვა ნორმატიული აქტებით დეკლარირებული უფლებების დაცვაზე.**

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**



№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

● 2004 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი, კონსტიტუციამ იმდენად გლობალური ცვლილებები განიცადა, რომ მას თითქმის არაფერი საერთო აღარ აქვს თავდაპირველ ტექსტთან



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა მოიფიქრა, როგორ გაიხანგრძლივოს ყოფნა ხელისუფლების სათავეში

**საქართველოს პრეზიდენტმა შექმნა ფორმულა, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებს სახელმწიფოს სათავეში დარჩენას მესამე და მეოთხე ვადითაც კი. საამისოდ მიხეილ სააკაშვილს დასჭირდება სულ მცირე რამ, ახალი კონსტიტუციის მიღება, რადგან ძველ ძირითად კანონს, პრეზიდენტის თქმით, ძალზე ბევრი ხარვეზი აქვს და მას საფუძვლიანი სრულყოფა სჭირდება.**



ცნობა იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება მზად არის შექმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს ახალ ძირითად კანონს, გაჟღერდა ჯერ კიდევ ძველ კონსტიტუციაში შესწორებათა შეტანის შესახებ კანონის ხელმოწერის ცერემონიაზე, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ქართველებს საზეიმო ვითარებაში დაპირდნენ, რომ მათ მალე ექნებათ „დემოკრატიული“, უმაღლესი ევროპული სტანდარტების შესაბამისი კონსტიტუცია. მანამდე კი მოქალაქეები უნდა შეურიგდნენ მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების ელემენტარულ უზურპაციას.

პარლამენტის არჩევნები უნდა გამართულიყო 2008 წლის გაზაფხულზე, სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილებას კი ვადა 2009 წლის იანვარში იწურებოდა. ახლა პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები ერთდროულად გაიმართება – 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში. ამრიგად, ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება გახანგრძლივდება სულ ცოტა ექვსი თვით, თუმცა პრეზიდენტისა – ოდნავ შემცირდება. კენჭისყრის გამართვის ზუსტ თარიღს თვით სააკაშვილი დაადგენს.

პრეზიდენტი თანამემამულეებს განუმარტავდა: „არჩევნების გამართვის ვადები ერთმანეთს ემთხვევა იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ დაპირისპირება სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ხელისუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელ შტოში კარდინალურ ცვლილებათა მოხდენის შემთხვევაში. თუ ქვეყანაში შეიცვლება ხელისუფლება, სასურველია, რომ ეს ერთდროულად მოხდეს“.

თუმცა, თავდაპირველად სულ სხვა ვერსია წამოწიეს. ქვეყნის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ზრუნავდნენ მხოლოდ და მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების დაზოგვისთვის. თვით სააკაშვილის თქმით, არჩევნების გამართვას სჭირდება „ძალზე დიდი ფული, ენერგია და დრო“.

ამის შემდეგ გაიხსენეს „საგარეო საფრთხეც“. „ჩვენ არ გვსურს, რომ საპარლამენტო არჩევნები ემსხვერპლოს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო მანქანას, – განაცხადა „მმართველი“ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა გვარამიამ. – რუსეთში პრეზიდენტის არჩევნების წინ ჩვენ შეიძლება სერიოზული პრობლემა შეგვექმნას“.

„კრემლი სერიოზულად განიხილავს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შესაძლებლობას, – თქვა სააკაშვილთან დაახლოებულმა პოლიტოლოგმა ლევან რამიშვილმა. – სპეცსამსახურები, რომლებიც მართავენ რუსეთს, წინასაარჩევნო კამპანიას საფუძვლად დაუდებენ გარეში მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. ასეთი მტერი უკრაინა უკვე აღარ არის. რჩება მხოლოდ საქართველო“.

ოპოზიციას არ სწამს არც „ბიუჯეტის“ და არც „რუსეთის“ ვერსიისა. მისი რწმენით, სააკაშვილი საკონსტიტუციო რეფორმას იწყებს იმისთვის, რომ ერთი გასროლით მოკლას ორი კურდღელი – თვითონაც დარჩეს თანამდებობაზე და პარლამენტზე კონტროლიც შეინარჩუნოს. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა პრეზიდენტმა, რომ არჩევნების დროს გამხდარიყო თავისი პარტიის „ლოკომოტივი“. ორი მსხვილი ოპოზიციური გაერთიანება – „ახალი მემარჯვენეები“ და „მრეწველები“ აცხადებდნენ, რომ ახალი კონსტიტუციის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდება.

მაგრამ ასეთი რამ სააკაშვილის გეგმებში აშკარად არ შედის. ახალ ძირითად კანონს იგი იმიტომ ხომ არ ამზადებს, რომ თავისი უფლებამოსილება დეპუტატებს გადასცეს?! პირიქით – სახელმწიფოს მეთაურს სურს კიდევ უფრო განიმტკიცოს თავისი პოზიციები და ხელისუფლების სათავეში რაც შეიძლება დიდი ხნით დარჩეს. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ პრეზიდენტის მანდატის დროის ათვლა ხომ „ნულიდან“ დაიწყება. ასე რომ, ბატონ მიხეილს შეუძლია იყაროს კენჭი არა მარტო მესამე, არამედ მეოთხე ვადითაც კი.

1991 წლის 9 აპრილის შემდეგ, როცა საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ქვეყანაში კონსტიტუცია ხუთჯერ შეიცვალა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში პირველი შესწორება შეიტანა ზვიად გამსახურდიამ. რესპუბლიკა გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი, აიკრძალა კომპარტიის საქმიანობა. 1992 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ფორმალურად აღდგა 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება, მაგრამ ქვეყანა ფაქტობრივად ცხოვრობდა ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით მიღებული „ხელისუფლების შესახებ“ დროებითი კანონით. 1995 წლის აგვისტოში პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს. 2004 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი, კონსტიტუციამ იმდენად გლობალური ცვლილებები განიცადა, რომ მას თითქმის არაფერი საერთო აღარ აქვს თავდაპირველ ტექსტთან.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

# აფხაზეთმა, სამხრეთ ოსეთმა და დნესტრისპირეთმა ერთიანი საინფორმაციო პორტალი შექმნეს

**„დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის“ გაერთიანების ფარგლებში აფხაზეთმა, სამხრეთ ოსეთმა და დნესტრისპირეთმა შექმნეს ერთიანი საინფორმაციო პორტალი. როგორც „აფსნიპრესის“ სააგენტო იტყობინება, მრავალმხრივი საცნობარო ხასიათის ინფორმაციის გარდა, საიტი ისეთ ცნობებსაც შეიცავს, რომლებსაც ავრცელებენ ამ თვითაღიარებული რესპუბლიკების წამყვანი ახალი ამბების სააგენტოები და მათი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.**




გარდა ამისა, საიტის რედაქცია გამუდმებით ახორციელებს მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონიტორინგს და მკითხველებს სთავაზობს იმ უკანასკნელ სტატიებს და საინფორმაციო ცნობებს, რომლებიც ეხება „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის“ გაერთიანების ქვეყნებში შექმნილ მდგომარეობას.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის 14 ივნისს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის პრეზიდენტებმა შექმნეს ზემოაღნიშნული სტრუქტურა, რითაც გააერთიანეს ძალისხმევა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლაში. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის პრეზიდენტების შეხვედრის შედეგების მიხედვით განხორციელდა ახალი ორგანიზაციის ერთობლივი საინფორმაციო სტრუქტურათა შექმნისათვის გამიზნული პირველი ღონისძიებები, 2006 წლის 17 ნოემბრის მორიგი სამმხრივი სამიტის შემდეგ კი, „ამ ღონისძიებებს მიეცა პრაქტიკული იმპულსი“.

РОСБАЛТ

# ცხინვალი საქართველოს სამშვიდობოების წინააღმდეგ დივერსიებში ადანაშაულებს



**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ორი რუსი მშვიდობისმყოფლის ნაღმზე აფეთქება სამხრეთ ოსეთში შეაფასეს როგორც საქართველოს მიერ ორგანიზებული დივერსია.**

თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ეს ინციდენტი არის „ქართული მხარის მორიგი მცდელობა მოახდინოს ვითარების დესტაბილიზაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იმ მიზნით, რომ გაუტეხოს სახელი რუსეთის სამშვიდობო მისიას და ჩაშალოს სამშვიდობო პროცესის ამჟამად მოქმედი ფორმატი და მექანიზმი“.

თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე აცხადებს, რომ დივერსია განხორციელდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ცხინვალში მიაჩნიათ, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ცოტა ხნის წინათ დაამონტაჟეს იმ გზაზე, რომლითაც გადაადგილდებიან რუსი სამშვიდობოები.

შეგახსენებთ, რომ 15 იანვარს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ნაღმზე აფეთქდა ორი რუსი მშვიდობისმყოფელი. ისინი ცხინვალის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ერთ მათგანს ფეხის ამპუტაციის ოპერაცია გაუკეთეს.

РОСБАЛТ

# ექს-პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის

**საქართველოს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ქმნის ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის მთავარი მიზანი იქნება ბრძოლა ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ.**



როგორც შევარდნაძემ განაცხადა, ამჟამად იგი ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნისთვის, რომლის საქმიანობაშიც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები.

„ჩვენი ორგანიზაცია შეისწავლის ნარკომანიის გავრცელების შედეგად ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და განსაზღვრავს ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს“, – აღნიშნა ექს-პრეზიდენტმა. ამასთან, როგორც შევარდნაძემ თქვა, ნარკომანიის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა, რომ ხელისუფლებამ და საზოგადოებრიობამ გააერთიანოს ამ საქმეში ძალისხმევა.

REGNUM

• შეერთებული შტატები ვერ გაბედავს ირანზე თავდასხმას — ასეთი მოსაზრება გამოთქვა სამშაბათს „Al Arabya“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა





# რა გვაქვს – ციხეები თუ ჯურღმულები?!

## რას მოხმარდა მე-6 საპყრობილის გასაახლებლად გამოყოფილი 1 700 000 გირვანქა?

**საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რომ ხელისუფლებას აშკარად ჩავარდნა აქვს, ამას არა მარტო ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ამბობენ, არამედ თვით ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი. პატიმრებს არაადამიანურ პირობებში უწევთ ყოფნა.**

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა „თანასწორობის ინსტიტუტმა“, „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის“ და „ახალგაზრდულმა ალტერნატივამ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან აქცია გამართა. მათი მოთხოვნაა თანამდებობიდან გათავისუფლდეს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, რადგან მან ვერ მოახერხა სისტემაში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამოსწორება.

„მთავარია ის ადამიანები დაისაჯონ, ვინც არაადაამიანურად ექცევიან პატიმრებს“, - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე.

„სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა ფიქციაა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების თავხედობა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პატიმრების წამება... ეს დემოკრატია არ არის. ქვეყანა ავტოკრატიის კუთხით ვითარდება. საქართველოს ხელისუფლება კარგავს საერთაშორისო ორგანიზაციების ნდობას. ბატონი გია ქავთარაძე ფორმალურად რომაა იუსტიციის მინისტრი, უნდა გადადგეს. ევროკავშირსა და იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე სამინისტროს მეექვსე საპყრობილის გასაახლებლად მილიონ 700 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩაერიცხა, მაგრამ ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა, რადგან პატიმრებს წყალიც კი არ აქვთ“ — გვითხრა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა ლევან გოგიჩაიშვილმა. ორგანიზატორების თქმით, აქცია გამაფრთხილებელია და ამას პერმანენტული ხასიათი მიეცემა.



HUMAN RICHS WATCH-ის მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ პატიმრების 63 პროცენტი წინასწარი დაკავების იზოლატორშია და გადატვირთულ გაუნიავებელ, ბინძურ საკნებში ცხოვრობს. ისინი, ცუდად იკვებებიან და ვერ იღებენ სათანადო სამედიცინო დახმარებას, ინფორმაციის მოპოვებისა და ოჯახთან შეხვედრის შეზღუდული შესაძლებლობა, აქვთ. შარშან ზოგ პატიმარს კვირეებისა თუ თვეების განმავლობაში არა ჰქონია საკნიდან გამოსვლისა და ვარჯიშის, ან სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა. „განახლებულ“ №6 საპყრობილეში ჟანგიანი წყალი მოედინება. მისი ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი არავის გაუკეთებია. პატიმართა მასობრივი ჩივილისა და მედპერსონალის დაჟინებული მოთხოვნით, ციხის ადმინისტრაციამ, როგორც იქნა, დაუშვა პატიმართათვის სასმელი წყლის შეტანა, თუმცა, ყველას პატრონს ნამდვილად არ აქვს ჩამოსასხმელი დაბეჭდილი წყლის ყიდვის საშუალება. პატიმართა 95 პროცენტი დაავადებულია სხვადასხვა ინფექციური დაავადებით: ვირუსული ჰეპატიტით, ათაშანგით, გონორეით, ტუბერკულოზით და სხვა. პატიმრები ელემენტარულ მატონიზირებელ სითხესა და გლუკოზასაც ვერ იღებდნენ. მედპერსონალის თხოვნით, მათ მენიუში შეუტანეს შაქრიანი ჩაი. თუმცა, რამდენიმე დღის წინათ პატიმართა ახლობლებს აუკრძალეს თაფლისა და შაქრის ციხეში შეტანა. ციხეებში კიდევ უამრავი სხვა დარღვევაა, რასაც, სათანადო შესწავლა სჭირდება. ორიოდე დღის წინათ კიდევ ერთი პატიმარი რამიკ გ. გარდაიცვალა. ავადმყოფ პატიმარს შემდეგი დიაგნოზი ჰქონდა: აივ-ინფექცია-შიდსი, მარცხენამხრივი პლევრიტი, განლევის სინდრომი. პირველადი დასკვნით, აღნიშნული დაავადებების ფონზე განვითარდა გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია. ამ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ავრცელებს.

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე კი გვარწმუნებს, რომ იუსტიციის სამინისტროს კონკრეტული სამუშაო გეგმა აქვს, რომლის პრეზენტაცია 26 იანვარს იგეგმება, მას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. მინისტრის მტკიცებით, ეს სამუშაო გეგმა კონკრეტული პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება. მისივე თქმით, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციისა, დღევანდელი სიტუაცია მკვეთრად განსხვავდება სამი წლის წინანდელი ვითარებისგან.

**ოლღა ციცკარიშვილი**



# შეერთებული შტატები ირანისთვის დარტყმას აპირებს

**ამერიკის არმიამ ირანს დარტყმა შეიძლება მიაყენოს მიმდინარე წლის აპრილამდე. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ქუვეითის „Arab Times“ ყოველდღიურმა გაზეთმა, რომელიც ანონიმურ წყაროებს იმოწმებდა.**

როგორც გამოცემის მთავარმა რედაქტორმა აჰმედ ალ-ჯარალამ განაცხადა, ამერიკელები თავდასხმას განახორციელებენ ზღვიდან „Patriot“ სარაკეტო თავდაცვის სისტემის მეშვეობით, რაც ამერიკელებს მისცემს იმის საშუალებას, რომ თავიდან აიცილონ დიდი მსხვერპლი და შეაკავონ ნებისმიერი საპასუხო რეაქცია სპარსეთის ყურის ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან.



„Patriot“ ტიპის მოწინავე სარაკეტო სისტემა ირანის მხრიდან ნებისმიერი დარტყმისგან დაიცავს ამერიკელთა ჯარებს როგორც ერაყში, ისე რეგიონის სხვა ქვეყნებში“, — იტყობინებოდა ქუვეითის გაზეთის წყარო.

დარტყმების მთავარი სამიზნეები გახდება ატომური და ნავთობის მრეწველობის ობიექტები. შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები იძლევიან გარანტიას, რომ ახლო აღმოსავლეთში ახალი საომარი კამპანია არ გამოიწვევს რეგიონში ეკოლოგიურ კატასტროფას.

გაზეთს ასევე მოჰყავს ციტატები ვაშინგტონში ამ ცოტა ხნის წინათ გაკეთებული განცხადებებიდან იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ახალი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ვითარების სტაბილიზაციას ერაყში, არ შეიცავს თუნდაც ერთ ისეთ პუნქტს, რომელშიც ლაპარაკი იყოს სირიასთან და ირანთან შესაძლო კომპრომისზე ან მოლაპარაკების დაწყებაზე.

ჯორჯ ბუში ამ ცოტა ხნის წინათ შეხვდა ვიცე-პრეზიდენტს დიკ ჩეინის, თავდაცვის მინისტრს რობერტს გეიტსს, სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს და სხვა სახელმწიფო მოხელეებს, რათა დაწვრილებით განეხილათ თეირანზე თავდასხმის გეგმები, წერს „Dailly Times“.

ამ შეხვედრაზე ჩეინიმ გაუსვა ხაზი საფრთხეს, რომელსაც უქმნის ირანი სპარსეთის ყურის ქვეყნებს. „ირანის ლიდერები იყენებენ რელიგიურ გავლენას აგრესიული რეჟიმის ამბიციების გაფართოების მიზნით“, — აღნიშნა ჩეინიმ.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ გააძლიერებენ ზემოქმედებას ირანზე 2007 წლის აპრილამდე ისე, რომ არ შეუქმნან საფრთხე რეგიონში ვაშინგტონის მოკავშირე სხვა ქვეყნებს.

წყაროს მონაცემებით, შეერთებულ შტატებს აპრილი შემთხვევით არ შეურჩევია. როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ აპრილში ამოიწურება ქვეყნის მთავრობის მეთაურის პოსტზე მისი უფლებამოსილების ვადა.

ვაშინგტონმა უკვე დაიწყო მზადება ირანისთვის შესაძლო სამხედრო დარტყმების მისაყენებლად. ამჟამად სპარსეთის ყურეში გაგზავნილი არიან სამხედრო ხომალდები, რომლებსაც კიდევ რამდენიმე გემი დაემატება მიმდინარე თვის დამლევამდე.

როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა მანამდე განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ირანსა და სირიაში ამერიკელთა შეჭრის შესაძლებლობას, რათა აღიკვეთოს ის აქტიურობა, რომელიც უქმნის საფრთხეს არა მარტო ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ერაყში, არამედ მთლიანადაც ახდენს ვითარების დესტაბილიზაციას ამ ქვეყანაში.

რაისის თქმით, შეერთებული შტატები მტკიცედ უნდა აღუდგეს წინ იმ ძალებს, რომლებიც უმაგრებენ ზურგს ერაყში მოქმედ ამბოხებულთა დაჯგუფებებს.

კითხვას, მოსალოდნელია თუ არა ამერიკელთა სამხედრო შეჭრა ირანსა და სირიაში, რაისმა უპასუხა: „ჯერჯერობით ყველა ვარიანტი დეტალური შემუშავების სტადიაშია“.

ისევე როგორც ერაყში, ირანშიც საომარი მოქმედების დაწყების საბაბი შეიძლება გახდეს მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა, თუმცა, ამერიკელები, ალბათ, არ დაკმაყოფილდებიან მხოლოდ რამდენიმე სამხედრო ქარხნის განადგურებით. საომარი მოქმედება მიზნად დაისახავს იმას, რომ რაც შეიძლება მეტად აღმოიფხვრას ირანის მხრიდან რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა; ამ მიზნით კი გამოიყენებენ ბომბდამშენებს, რომლებიც ომის პირველივე დღეს გაანადგურებენ 10 ათასამდე სამიზნეს, და სპეციალური დანიშნულების ძალებს, რომლებიც მოსპობენ ყოველივე იმას, რაც დაბომბვის შემდეგ დარჩება.

წყაროს მონაცემებით, ბუშის ადმინისტრაცია აპირებს ირანში არსებული რეჟიმის დამხობას, რაც შექმნის ძალთა ახალ თანაფარდობას რეგიონში. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ეს შეუწყობს ხელს ერაყში ვითარების სტაბილიზაციას და ამ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების წინსვლას.

შეერთებული შტატები ვერ გაბედავს ირანზე თავდასხმას — ასეთი მოსაზრება გამოთქვა სამშაბათს „Al Arabya“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა.

თავის მხრივ, ირანის ატომური ენერგეტიკის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ მოჰამად საიდიმ თქვა: ირანში არ მიაჩნიათ სარწმუნოდ ამერიკელთა თავდასხმა ქვეყნის ბირთვულ ობიექტებზე, თუმცა თეირანი ემზადება მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის.

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაეროს უშიშროების საბჭო ირანისთვის ყველაზე არახელსაყრელ რეზოლუციებს მიიღებს, ჩვენ მაინც გავაგრძელებთ ბირთვული პროგრამის განხორციელებას, — განაცხადა საიდიმ. — გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები დასახული მიზნის მიღწევაში ვერ შეუშლის ხელს ირანელ ხალხს“.

# კონგრესმა ახალი კანონპროექტები მიიღო

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში დემოკრატები, რომლებიც აკრიტიკებენ ერაყში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ და ორივე პალატაში შეიტანეს კანონპროექტები, რომელთა მიზანიცაა გაუწიონ წინააღმდეგობა პრეზიდენტის მიერ აღებულ კურსს.**

დემოკრატმა-სენატორმა კრისტოფერ დოდმა, რომელმაც განაცხადა, რომ 2008 წლისთვის აპირებს იბრძოლოს შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად, ზედა პალატაში შეიტანა კანონპროექტი. ამ დოკუმენტის თანახმად, პრეზიდენტი ვერ გაგზავნის დამატებით ჯარებს ერაყში, თუ ამაზე არ მიიღებს კანონმდებელთა თანხმობას.

დოდის ინიციატივა ითვალისწინებს ერაყში ამერიკელთა ჯარების რაოდენობის საკანონმდებლო შეზღუდვას 130 ათასი ჯარისკაცით. შეერთებული შტატების მისია „რადიკალურად შეიცვალა რეგიონში მიმდინარე მოვლენების გამო“, — განაცხადა სენატორმა თავის ოფიციალურ მიმართვაში.

კონგრესის მიერ 2002 წლის გადაწყვეტილება ერაყში სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ „საკამათოა და არ შეესაბამება სინამდვილეს“, — მიაჩნია დოდს, ამიტომ პრეზიდენტმა უნდა სთხოვოს კონგრესს, რომ მან მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ერაყში დამატებითი ძალების გაგზავნის თაობაზე.

კიდევ უფრო რადიკალური პროექტი შეიტანა წარმომადგენელთა პალატაში სამმა დემოკრატმა — ლინ ვულსიმ, ბარბარა ლიმ და მაქსინ უოტერსმა. „ჯარისკაცების შინ დაბრუნების და ერაყის სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ“ კანონი, მისი ავტორების აზრით, არის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული კურსის „ყოვლისმომცველი ალტერნატივა“, რომელიც აპირებს ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყანაში კიდევ 21 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნას. კანონპროექტით გათვალისწინებულია ერაყში კონტრაქტით მომსახურე ყველა ამერიკელი სამხედროს შინ გამოხმობა და იქ ამერიკელთა მუდმივმოქმედი სამხედრო ბაზების შექმნის აკრძალვა.



● ნაგვის ურნაში ნაპოვნი ახალშობილის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება



№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

# იქნება საგანმანათლებლო ინტერნეტ-ქსელი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა საერთაშორისო ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიებთან „რკინიგზის ტელეკომთან“, „კავკასუს ნეტფორთან“ და „ტელენეტთან“ ხელმოწერა. მასში მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია, ფონდ „ირმის ნახტომის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასილ მარდალეიშვილი და ამ ფონდის პროგრამის მენეჯერი გიგა შუბითიძე.**



„ირმის ნახტომი“ სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამაა. 2006 წელს ამ პროგრამის ფარგლებში 7350 კომპიუტერით საქართველოს 660 საჯარო სკოლა აღიჭურვა, გადამზადდა 3200 პედაგოგი.

პროგრამა „ირმის ნახტომის“ მიხედვით საჯარო სკოლებში ჩატარებულ მუშაობაზე შეკრებილთ მოახსენეს მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ და პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფონდის მენეჯერმა გიგა შუბითიძემ თუ როგორ შესრულდა ორი წლის განმავლობაში საჯარო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა.

ბრიფინგზე „ირმის ნახტომის“ ფონდმა საერთაშორისო ცენტრში გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულებებიც გააფორმა, ამით ფონდი უზრუნველყოფს საქართველოში (მაღალმთიან რეგიონებშიცძ სკოლებისათვის ინტერნეტის მავთულიანი თუ უმავთულო ტექნოლოგიების მიწოდებას.

2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ირმის ნახტომის“ საგანმანათლებლო ინტერნეტ-ქსელი დაახლოებით 4 მილიონი ლარით დაფინანსდება. ასე რომ, 2007-2008 სასწავლო წელს ყველა საჯარო სკოლის ინტერნეტმომსახურების ხარჯებს „ირმის ნახტომი“ გაიღებს.

2007 წლის ბოლოსთვის საქართველოს ყველა სკოლა მსოფლიოს ინტერნეტ-ქსელზე იქნება მიღებული.

**ნათელა ფაილოძე**

## შეხვედრა ევროკავშირის წარმომადგენლებთან

**საქართველოს სახალხო დამცველი და მასთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წევრები ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდნენ.**

ევროკავშირის წარმომადგენლებმა უმცირესობებთან მიმართებაში ევროპის ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრეს. სხვადასხვა უმცირესობათა წარმომადგენლებისგან კი მათთვის ყველაზე აქტუალური და მტკივნეული პრობლემები მოისმინეს. შეხვედრაზე ამ პრობლემების გადაჭრის გზებზეც იმსჯელეს.

სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორმა კობა ჩოფლიანმა ევროკავშირის წევრებს საბჭოს საქმიანობა, მიზნები და სამომავლო გეგმები გააცნო.

## საწვავის დეფიციტი გამორიცხულია, მაგრამ...



**აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის საავტომობილო ბენზინის მიწოდების შეფერხება, რაც აზერბაიჯანის სამაზუთე რეჟიმზე გადასვლამ განაპირობა, საქართველოში საწვავის დეფიციტს არ გამოიწვევს.**

თუმცა, როგორც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, აზერბაიჯანული იმპორტის შემცირება ბენზინზე ფასების ზრდას განაპირობებს.

„მოსახლეობა ვეღარ შეძლებს იაფფასიანი აზერბაიჯანული საწვავის მოხმარებას და შესაბამისად, ძვირადღირებული ევროპული ბენზინის შეძენა მოუწევს“, — აცხადებენ სამინისტროში.

ამჟამად საქართველოში ბენზინის იმპორტი რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან და რუსეთიდან ხორციელდება.

## ურჩ გარემოვაჭრეებს პატიმრობა ემუქრებათ

**ქუთაისში ურჩ გარემოვაჭრეებს 7-დღიანი პატიმრობა ემუქრებათ. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ქალაქის ცენტრალურ ბაზართან გარევაჭრობა მხოლოდ საახალწლოდ 31 დეკემბრიდან 15 იანვრამდე იყო დაშვებული.**

ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლებმა მოვაჭრეებს გაფრთხილება მისცეს და სპეციალური ბუკლეტები დაურიგეს, სადაც აღნიშნულია, რომ გარემოვაჭრე რომელიც კანონს არ დაემორჩილება პირველ ეტაპზე დაჯარიმდება 50 ლარით, მეორე ეტაპზე 100 ლარით, უკიდურეს შემთხვევაში კი მას 7 დღით დააპატიმრებენ.

ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის ზაზა სულაძის განცხადებით, ქუთაისში გარევაჭრობა სულ მალე აღარ იარსებებს. გარემოვაჭრეები კი ალტერნატიულ ადგილებს ითხოვენ.

როგორც მოვაჭრეებმა განაცხადეს, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტენ გარევაჭრობას, როცა მოწესრიგებულ სავაჭრო ტერიტორიას შესთავაზებენ.

## ახალშობილის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება

**ნაგვის ურნაში ნაპოვნი ახალშობილის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.**

როგორც ჩაჩავას სახელობის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა ელგუჯა გოცირიძემ განაცხადა, ურნაში გადაგდებული ჩვილი მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდა და ის უკვე საკვებსაც იღებს. მედპერსონალმა ახალშობილს სახელიც შეურჩია. ჩვილს მარიამი დაარქვეს.

16 იანვარს, დილით, ახალშობილი ავლაბარში, გუთნის ქუჩაზე ნაგვის ურნაში იქვე მდებარე მაღაზიის თანამშრომელმა აღმოაჩინა, რომელიც სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ბრიგადამ აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში „გადაციებულ“ მდგომარეობაში გადაიყვანა.



მოგვიანებით კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ჩვილის დედა, რომელიც 31 წლის ირმა ოსეპიანი აღმოჩნდა.

ოსეპიანს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 112-ე მუხლებით გათვალისწინებული სასჯელი ელის.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## კახა კალაძე: „აბრამოვიჩი ბევრს მპირდებოდა“...

### „ჩელსი“ ძალზე ულამაზოდ მომექცა

**პოპულარული რუსული გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი“ თითქმის მთელ გვერდს უთმობს გიორგი ზოტოვის ინტერვიუს იტალიური „მილანის“ ქართველ ლეგიონერთან კახა კალაძესთან. გთავაზობთ მას მცირე შემოკლებით.**

**„ძალზე დავზარალდი აბრამოვიჩისა და მოურინიოს გამო“**

**— კახა, პირველი კითხვა თქვენთან, როგორც ქართველთან: განა საწყენი არაა, რომ ახლა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში სრული კოშმარია?**

— მე საშინლად არ მსიამოვნებს, რომ ასეთ დონემდე დავეშვით. ეს უბრალოდ საშინელებაა, თუ კი პოლიტიკოსების გამო ჩვეულებრივი ადამიანები ერთმანეთს შეიძულებენ. თანაც თავად პოლიტიკოსებს არავითარი პრობლემა არ გააჩნიათ - ზარალდებიან ისინი, ვინც ისედაც ღარიბად ცხოვრობენ. რუსებმაც და ქართველებმაც უნდა მიიღონ რამე ზომები, რათა სიტუაცია გამოასწორონ. მე ხომ რუსეთში უამრავი მეგობარი მყავს... საერთოდ არ მესმის, ეს როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო.

**— თავი დავანებოთ პოლიტიკას. თქვენ „მილანში“ უკვე ექვსი წელი თამაშობთ — ამას წინათ გაჩნდა აბეზარი ჭორები, თითქოს თქვენიც, როგორც შევჩენკოსი, სასწრაფო ყიდვა „ჩელსისათვის“ უნდოდა ოლიგარქ აბრამოვიჩს.**

— დასაფარი არაფერი მაქვს — მე ნამდვილად მქონდა ამ თემაზე მოლაპარაკებები აბრამოვიჩთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არაფრით არ დასრულებულა.

**— სამწუხაროდ?**

— ეს შემთხვევით წამომცდა. ისეც, მე ძალზე დავზარალდი ამის გამო: როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, „მილანს“ მინდორზე სათამაშოდ აღარ გავყავდი და მეც საშინლად ვღელავდი. შემდეგ კი „ჩელსი“ ულამაზოდ მომექცა, თუ ასე თქმა შეიძლება. ისინი მე ბევრს მპირდებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ სხვა მოთამაშე აიყვანეს — დელ ორნო. მე კი უკვე წავეხუზე „მილანის“ ხელმძღვანელებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ჩემი საქციელით. საბოლოო ანგარიშში კი ჩემს შესახებ პირადად ბერლუსკონიმ დარეკა და ჩვენ ახალი კონტრაქტი დავდეთ — მადლობა ამ კლუბს, თუმცა, რასაკვირველია, მათაც ისარგებლეს, ხუთი წლით მე, როგორც ფეხბურთელი, დამისაკუთრეს.



**— ისე რომ, „ჩელსისთან“ უკვე საქმე აღარა გაქვთ?**

— აბსოლუტურად არა. იქ გადასვლის სურვილი კი მქონდა: დიდი ხანია, „მილანში“ ვარ, ხოლო ერთფეროვნება მაინც გბეზრდება. მოვილაპარაკეთ აბრამოვიჩთან და „ჩელსის“ მწვრთნელ მოურინიოსთან, ერთმანეთს გადავეხვიეთ, ხელი ჩამოვართვით — შემდეგ კი, ესეც შენ — ადგნენ და გადაიფიქრეს. ამას აბრამოვიჩიდან არ მოველოდი: არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველს მოეტყუებინოს, რუსს აგრეთვე...მაგრამ ებრაელი რომ ასე ელემენტარულად „გადამაგდებდა“, თანაც მილიარდერი, წარმოდგენაც არ შემეძლო.

**— თქვენ მისთვის ელემენტარული პრეტენზიებიც არ გითქვამთ, თუნდაც ასეთი „აბა, რომა, რას აკეთებ?!“**

— არა. როდესაც მათ მე დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემზე უარს ამბობენ, რადგან დელ ორნო აიყვანეს, მე წარმატება ვუსურვე — თუ კი „ჩელსი“ ამით მოიგებს, მე მხოლოდ გამიხარდება.

**— მე ბიზნესის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ, ჩემის აზრით, საქმე ასე არ კეთდება.**

— მე ეს ასევე მშვენივრად ვიცი. ჩემთვის, თუ კი ვაჟკაცი სიტყვას მოგცემს, მთავარია. აქ კი რა გამოდის — მხოლოდ ლაქლაქია. მე მათ ძალზე გამაცურეს, მე კი ვიჯექი და „გამოდარებას ვუცდიდი“. „მილანში“ მეუბნებოდნენ, მოდი, ახალ კონტრაქტს ხელი მოაწერეო. მე კი ვპასუხობდი: „აბა, რას ამბობთ, როგორ შეიძლება, მე ხომ ხალხს დავპირდი, სხვანაირად მათ თვალებში როგორ შევხედო-მეთქი?“.

**— მაინც წუხართ, რადგან „ჩელსიში“ ვერ მოხვდით?**

— განსაკუთრებული საწუხარი არაფერია. ამ ცხოვრებაში რაც ხდება — უკეთესობისკენაა.

**— სხვათა შორის, თქვენს მეგობარს, ბრწყინვალე ფეხბურთელს ანდრეი შევჩენკოს, ივნისში „ჩელსიში“ რომ გადავიდა, ახლა მაინც და მაინც არ უმართლებს... მან შეცდომა ხომ არ დაუშვა?**

— ჩემთვისაც გაუგებარია, რა ხდება. შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო. მე მიმაჩნია, რომ ძირითადი პრობლემა სულაც შევჩენკოში კი არა, არამედ მწვრთნელ მოურინიოშია. იმიტომ რომ რაღაც უცნაურად გამოდის: მასთან „ჩელსიში“ ფეხბურთელები სუსტად თამაშობენ, სათადარიგო სკამზე სხედან, მაგრამ როგორც კი წავლენ — ყველაფერი მშვენივრად გამოსდით...

მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბუნდი შევჩენკოს ხელს ჰკრავს. გაუგებარია, მაშინ მასში ამდენი ფული რატომ გადაიხადეს?

**— ახლა გავრცელდა ინფორმაცია. თითქოს შევჩენკო „მილანში“ ბრუნდება.**

— არა მგონია, ასე მოხდეს. ანდრეისაც არ გამოუთქვამს მსგავსი სურვილი.

**— თქვენც ხომ „მილანში“ გადახვედით „დინამო-კიევიდან“, თავდაპირველად გიჭირდათ?**

— რასაკვირველია, მე ხომ იტალიურად სიტყვაც არ ვიცოდი...

**— ბოდიშს გიხდით შემდეგი კითხვისთვის... თუ გსურთ, ნუ მიპასუხებთ... ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინათ თქვენი ძმა მოიტაცეს საქართველოში გამოსასყიდის მიზნით, შემდეგ კი მოკლეს. ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო?**

— მე არც კი ვეჭვობდი, რომ საქართველოში, სადაც ფეხბურთის გულშემატკივრები დიდ პატივს მცემენ, შესაძლებელი იყო ასეთი რამ... თუმცა მაშინ ქვეყანაში მთლიანად არეულობა იყო. მადლობა ახლანდელ მთავრობას, ისინი დამეხმარნენ ლევანის ნეშტის მოძებნაში. ახლა მე ზუსტად ვიცი, რომ ძმა აღარა მყავს. დედაჩემსაც შეუძლია სასაფლაოზე წასვლა და მის საფლავზე ტირილი. ადრე კი ისიც გაუგებარი იყო, თუ სად იწვა ის.

**— ჩვენი საუბრის დროს მაგიდასთან რამდენიმე კაცი მოვიდა ავტოგრაფისთვის. თქვენ რამე მოვალეობას გაკისრებთ ის, რომ ვარსკვლავი ხართ?**

— არა, მე იმის მოვალეობა მაკისრია, რომ ფეხბურთელი ვარ. მინდორზე გასვლა იმის ტოლფასია, რომ მომღერალი „ლა სკალას“ სცენაზე გამოვიდეს. თუ ჩაისვარე — არ გაპატიებენ. ამიტომაც ეკლესიაში ვლოცულობ ყოველი მატჩის წინ, რათა ღმერთმა წარმატება მარგუნოს. შეიძლება, ახლა შენ ვარსკვლავი იყო, მაგრამ უნდა დარჩე იმად, რაცა ხარ. ყველაზე მთავარია — კარგი ადამიანი იყო.

Аргументы и факты

● როგორც იქნა, წერტილი დაესვა სავიზო გაუგებრობებს და დღეს ბოლნისის „სიონი“ დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის XV გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს მიემგზავრება

◎ ფეხბურთი

## მოსკოვისკენ ჰეიი, ჰეიი

**როგორც იქნა, წერტილი დაესვა სავიზო გაუგებრობებს და დღეს ბოლნისის „სიონი“ დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის XV გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს მიემგზავრება.** მარშრუტი ქვემოქართლელებს მართლაც რომ მარათონული აქვთ — გუნდი გეზს ერევნისკენ ავტობუსით 14 საათზე აიღებს, ავიარეისი ჩრდილოეთისკენ კი სომხეთის დედაქალაქიდან ღამის სამის ნახევარზეა დანიშნული. ისე, მეზობელთა „პოხონდრიებს“ მთლად უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია, რის შედეგადაც კლუბის კამერუნელი ლეგიონერები ბოიომო ფრიდოლინი, ევოჩე და ჩასემი დანიშნულების პუნქტამდე ბაქოს გავლით ჩააღწევენ.

დავძენთ, რომ მიწვეულთა შორის ქართველი მსაჯი ლევან კვარაცხელიაც გახლავთ, რომელიც რამდენიმე მატჩს მოემსახურება.

◎ სამბო

## „სახალხო ბანკის“ ათინათი

**წლეულს 8 თებერვალს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნებია დანიშნული. ამგვარი სიტუაცია თანამდებობიდან ბადრი ბიწაძის გადადგომამ გამოიწვია.**

ამას წინათ შემოგთავაზეთ სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ოლეგ იაძის ინტერვიუ, რომელშიც საუბარი იყო თანადგომაზე, რომელსაც ფედერაციას უწევენ სპონსორები თუ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. წლეულს გამოყოფილი თანხით შესაძლებელი იქნება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებზე გამგზავრება, 4 საწვრთნელი შეკრების გამართვა, 2 საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, ნაკრები გუნდების სპორტული ფორმებით შემოსვა და 20 ათას ლარს საპრიზო ფონდისთვისაც შემოინახავენ. სამაგიეროდ, დაუფინანსებელი რჩება შიდა ტურნირები, თანხები არ ჰყოფნის ოფისის შენახვას, მსაჯთა ანაზღაურებას და სხვა ხარჯებს. ამიტომ სამბისტები ისეთ მესაჭეს ეძებდნენ, რომელიც მათს ბიუჯეტს 40-50 ათასი ლარით შეეხიდებოდა. ბატონმა ოლეგმა შეგვატყობინა, რომ ფედერაციის თავკაცობაზე თანახმაა კენჭი იყაროს „სახალხო ბანკის“ პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ. იქნებ, სამბოსაც ეშველოს!

◎ ჭიდაობა

## ხვალ ბათუმში



**აჭარის დედაქალაქი 19 იანვრიდან ოთხი დღის განმავლობაში მოჭიდავეთა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. პირველი ორი დღე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს დაეთმობა, მომდევნო ორი დღის განმავლობაში კი ხალიჩაზე „თავისუფლები“ გავლენ.**

როგორც გაუწყეთ, ტურნირზე ყველა უძლიერესი ფალავნის ასპარეზობაა ნავარაუდევი, თუმცა გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ობიექტური მიზეზით, შესაძლოა, დავით ბედინაძემ და მანუჩარ კვირკველიამ ეს შეჯიბრება გამოტოვონ.

წლეულს, მოგეხსენებათ, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მთავარი ტურნირები გაიმართება და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს სურთ, საქმეში იხილონ ყველა კანდიდატი. ჭიდაობის მოყვარულთ ფინალური ორთაბრძოლების ნახვა შეეძლებათ ტელერეპორტაჟებით, რომლებსაც ოთხი დღის განმავლობაში „აჭარა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლობა შემოგვთავაზებენ.

◎ კალათბურთი

## ბოისასი ეშინიათ

**ხვალ ბარსელონაში ულებ-ის თასის მეორე ეტაპის კენჭისყრა მოეწყობა. საამაყოა, რომ ჯგუფური რაუნდი ძლევამოსილად დაასრულა ვლადიმერ ბოისას**



**„მონტეპასკიმ“ — ჩვენი თანამემამულის იტალიურმა კლუბმა უპრობლემოდ დაიკავა პირველი ადგილი და გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად საფუძვლიანად მიიჩნევა.**

**დასკვნითი ტურის შედეგები:** „მონტეპასკი“-„ოსტენდე“ 73:62, „პაპოელი“-„ალბა“ 95:82, „ხიმკი“-„ლუკოილი“ 101:77, „დექსია“-„რეალი“ 76:96, „უნიქსი“-პაოკი 85:57, „თაუერზი“-„ცვენა ზვეზდა“ 89:92, „ბეშიქთაში“-„სტრასბური“ 80:88, „ვენტსპილსი“-„ანვილი“ 84:82, „ბროზე“-„გრან კანარია“ 70:58, „ლიეტუვას რიტასი“-აეკი 86:80, „ნანსი“-„გემოფარმი“ 89:81, „ჟელეზნიკი“-„სნაიდერო“ 85:78.

**ფიბა — ევროპის თასი.** „დიჟონი“-„ხირონა“ 89:90 (**ვახტანგ ნაცვლიშვილმა** მასპინძლებს 17 ქულა შესძინა), „შიაულიაი“-„ესტუდიანტესი“ 72:81, „აზოვმაში“-„დინამო“ 79:68, „რიგა“-„მარუსი“ 92:88 (დამატებით დროში), „პანიონიოსი“-„ტელეკომი“ 68:71, აელი-„ლიეჟი“ 70:64, „შარლერუა“-„ლოკომოტივი“ 64:74, „ბოლონია“-„კალევი“ 98:76.

**ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (ნბაძ.**

ტრავმამოშუშებულმა ზაზა ფაჩულიამ ღირსეული წვლილი შეიტანა „ატლანტას“ ზედიზედ მეორე გამარჯვებაში „ბოსტონთან“ 100:96. „ქვაროსანთა“ კაპიტნის მონაგარმა 18 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა შეადგინა. 12 გამარჯვებითა და 23 მარცხით ჯორჯიელებს სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილი უკავიათ. დღეს ისინი სტუმრად „მინესოტას“ ეთამაშებიან.

◎ ჭადრაკი

## „თეთრების“ შავი დღე



**დასასრულს უახლოვდება საქართველოს მოჭადრაკეთა ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 30 გოგონა და 82 ვაჟი მონაწილეობს.**

გუშინ გაიმართა მეშვიდე ტურის შეხვედრები. განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, ლიდერთა ორთაბრძოლები იწვევდა. საგულისხმოა, რომ თეთრებმა 9 პარტიიდან მხოლოდ ერთი მოიგეს, ერთი ყაიმით დაამთავრეს და 7 ხელი წააგეს. 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ გაიოზ ნიგალიძეს და მიხეილ ჭიპაშვილს. მათი დუელი ნიგალიძის გამარჯვებით დამთავრდა. ახლა მას 6,5 ქულა აქვს და ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება თამაზ მგელაძე, რომელმაც ბოლო ტურში შავი ფიგურებით ლევან ბახტაძეს სძლია. 5,5-5,5 ქულა აქვთ ზვიად ფაციას (სალომე ხაჟომიას მოუგოძ, ვახტანგ თევდორაშვილს, (ვლადიმერ კაბაჯიანს დააყრევინა ფარ-ხმალიძ, გიორგი ხელაიას (დავით ლომსაძე დაამარცხაძ და ჭიპაშვილს. კიდევ 7-მა მონაწილემ 5-5 ქულა მოაგროვა და ისინი პირველი ლიგის საგზურის მოპოვების შანსს ინარჩუნებენ.

გოგონებში ქეთი წაწალაშვილმა ნინო კალანდაძე დაამარცხა და უახლოეს მდევრებს — ანა ბუცხრიკიძეს და ლალი ბიზილაშვილს თითო ქულით უსწრებს. ექვსმა მოჭადრაკემ 4,5-4,5 ქულა მოაგროვა.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთაგან დღეს მე-8 ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ბაიაძე-წაწალაშვილი, ბუცხრიკიძე-მაჭარაშვილი, ჭკუასელი-ბიზილაშვილი, ჩაიკოვსკაია-კალანდაძე; მგელაძე-ნიგალიძე, ფაცია-ჭიპაშვილი, თევდორაშვილი-ხელაია.

ტურნირი ხვალ დამთავრდება.

**თამარ გეჯაძე**

◎ ორბიტაზე

## რაჯაბოვი ლიდერობს

**როგორც უკვე გაცნობეთ, ჰოლანდიის ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარეობს დიდი საჭადრაკო სუპერტურნირი 14 ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით.**

პირველ ტურში 7 პარტიიდან მხოლოდ აზერბაიჯანელმა თემურ რაჯაბოვმა შეძლო



გამარჯვების მოპოვება. მან ჰოლანდიელი ლიუკ ვან ველი დაამარცხა. დანარჩენი პარტიები ყაიმით დაამთავრა.

მეორე ტურში თემური ყაიმს დასჯერდა.

მესამე ტურში კი ისევ ძალზე აგრესიულად ითამაშა ესპანელ — რუს ალექსი შიროვთან და დააშამათა. ახლა ის 2,5ქულით ლიდერობს. მესამე პარტიაში გაიმარჯვა უკრაინელმა რუსლან პონომაროვმაც, მან ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი დაამარცხა. დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა.

## ფეხბურთელი ფეხბურთელითვე შეცვალა

**დიდხანს როდი იდარდა თავის ყოფილ ფეხბურთელ და ლოველას სატრფოსთან — ფრანჩესკო კოკოსთან განშორება 24 წლის მოდელმა ფრანჩესკა ლოდომ. ის სულ მალე მეორე ფეხბურთელის — „ლაციოს“ ნახევარმცველის სტეფანო მაურის მკლავებში აღმოჩნდა.**

როგორც ჩანს, ლოდოს თავისებური გეგმა აქვს ფეხბურთელების გამოჭერისა. თანაც განსაკუთრებით A სერიის გუნდების მოთამაშეებს უმიზნებს — კოკოსა და კრისტიანო მანეტის შემდეგ, სტეფანოც ხომ წარმატებულ გუნდში თამაშობს. თუმცა ახალ სატრფოსთან ლამაზმანს ერთი პრობლემა მაინც აქვს — შეყვარებულები სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ — ლოდო — მილანში, მაური კი — რომში. თუმცა, როგორც ამბობენ, მანძილი უფრო ამძაფრებს მათ სიყვარულს.



◎ მადლობა

## სეოკის დახმარებით

**შარშან ორი უმძიმესი ოპერაცია გადავიტანე, რაც სოლიდურ სახსრებთან იყო დაკავშირებული. მწირი ოჯახური ბიუჯეტის გამო ამდენს ვერ შევწვდებოდი, რომ არა კეთილი ადამიანების თანადგომა.** განსაკუთრებული სითბოთი მინდა მოვიხსენიო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მისი თავკაცი ბატონი ბადრი პატარკაციშვილი და მადლობა გადავუხადო მას მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერისთვის.

**რობერტ ბაგოიანი,**
**ფოტოკორესპონდენტი.**

◎ სუმო

## მდგომარეობა გაიუმჯობესა



**იაპონიაში გრძელდება სუმოისტთა იანვრის ბაშო, რომელშიც საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენს ქართველი სპორტსმენი ლევან ცაგურია, იგივე „კოკაი“ (შავი ზღვაძ. მეათე ტურში მან მონღოლ ასასეკირიუს სძლია და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. ახლა „კოკაის“ 6 წაგების წილ 4 მოგება აქვს.**

ბაშოზე ერთპიროვნულად ლიდერობს სახელოვანი მონღოლი იოკოძუნა ასაშორიუ ათიდან 9 მოგებით. ეტყობა, იგი წლეულს იმპერატორის თასს მეოცედ დაეპატრონება.

სხვადასხვა დივიზიონში წარმატებას მიაღწიეს თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუძ და ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინიძ, რომლებიც ტურნირზე დადებითი ბალანსით განაგრძობენ ორთაბრძოლას.

◎ მძლეოსნობა

## ქევხიშვილი ცოდნასა და ოსტატობას იმაღლებს



**ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე მარიამ ქევხიშვილი შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სასწავლებლად.** ცოდნის პარალელურად იგი სპორტშიც იმაღლებს ოსტატობას. ამას წინათ ფლორიდაში გამართულ აშშ-ს უნივერსიადაში იასპარეზა. ბირთვი 16 მეტრზე კრა და ამგვარ ტურნირში მეორედ დაიკავა პირველი ადგილი.

№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

● ჩანდა, რომ ხალხთა ბელადი მოსიარულე მონუმენტია, წყნარი საზეიმო ხმითა და მი-წებებული ფუმფულა ულვაშებით

⊙ ტელევიზორი

# სტალინი ცოცხლობდა — სტალინი Live — სტალინი იცოცხლებს



სტალინი (დავით გიორგობიანიძ და ბერია (მალხაზ ასლამაზიშვილიძ სერიალში გეჩვენებათ წყნარ, მაგრამ არცთუ ძალზე საინტერესო ადამიანებად.

**ასეთი სათაურით გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ აქვეყნებს თავისებურ რეცენზიას ტელესერიალზე „სტალინი Live“, რომელსაც ტელეარხი HTB უჩვენებს.**

რეცენზიის ავტორი ლიუბოვ მიტინა თავიდანვე მიუთითებს, რომ „სერიალი ბელადის ცხოვრებაზე საოცრად მოსაწყენი აღმოჩნდა“.

მთელ საახალწლო არდადეგებზე HTB მოქალაქეებს მადას უფუჭებდა: გადმოსცემდნენ ავისმომასწავებელ პროგნოზს ულიმღამო ცხოვრებაზე, თითქოსდა მალე აჩვენებდნენ სერიალს „ სტალინი Live“ (თავისუფალი თარგმანი მათთვის, ვინც სკოლაში ინგლისურს არ სწავლობდა: „სტალინი ცოცხლად“ ან „სტალინი პირდაპირ ეთერში“ძ.

თუმცა უკვე რეკლამის მიხედვით ნათელი იყო: არაფერი განსაკუთრებით ცოცხალი ჩვენ არ მოგველოდა. ჩანდა, რომ ხალხთა ბელადი მოსიარულე მონუმენტია, წყნარი საზეიმო ხმითა და მიწებებული ფუმფულა ულვაშებით.

ვაი, რომ სამშაბათს, ეს გრძნობა არ გამქრალა. პირველ, ისედაც მძიმე სამუშაო დღეს რუსეთელებს მოევლინა ბებრუხანა მთავრობის აგარაკზე აგუგულებული რამდენიმე ადამიანის გარემოცვაში. მის ქვის სახეზე არც ერთი კუნთი არ შერხეულა. მისი ცხოვრება მოსაწყენია და გამოკვეთილია მღვრიე-ყავისფერ გამაში (ეს, როგორც ჩანს, რეჟისორის საყვარელი ფერიაძ.

აი, სტალინი მიუჯდა მაგიდას, იფიქრა საერთაშორისო ვითარებაზე, წავიდა გასაპარსად. დიდხანს იპარსავდა, რეალური დროის რეჟიმში — მგონი, ხუთი წუთი. შემდეგ ის დიდხანს სვამდა ჩაის, შინამოსამსახურესთან ერთად განიხილავდა სახლის ტემპერატურას და მიდის დასკვნამდე, რათა გათბეს, ჩაის სმის შემდეგ, საჭიროა ნაბადში დაძინება. შემდეგ ის კითხულობს გაზეთ „პრავდას“. ათვალიერებს იქ დაბეჭდილ თავის პორტრეტს.

სტალინის შინამოსამსახურეებს გაცილებით საინტერესო ცხოვრება აქვთ. აი, ორი ქალიშვილი სამზარეულოში ფიქრობს, მართალია თუ არა, რომ ახლა ყველა ებრაელს ბანაკებში გააგზავნიან; აი, ორმა ყარაულმა სახლის მახლობლად იპოვა ტყვია და იმაზე მსჯელობენ, თუ ვინ ან საიდან ისროლა ის, და უყურადღებობისთვის რომელ მათგანს დახვრეტენ ახლა... მაგრამ, ჩემთვის, პატიოსნებას გეფიცებით, სულ ერთი იყო: ეს პრობლემა რატომღაც დიდად არ მიტაცებდა.

მე ნამდვილად მინდოდა პირველი ორი სერიის ბოლომდე ნახვა. ვაღიარებ, რომ ვერ გავუძელი. დავიწყე არხიდან არხზე „ხტომა“. შემდეგ ვუბრუნდებოდი „სტალინს“. ვხედავდი იმავე გაფუებულ ულვაშებს და ისევ გადავრთავდი ხოლმე. მეორე დღეს მოწყობილმა კოლეგებისა და მეგობრების გამოკითხვამ მაჩვენა: არავის არ უნახავს ბოლომდე სერიალი „ სტალინი Live“. მას საერთოდ 10 წუთზე დიდხანს ვერავინ გაუძლო. თუმცა წინ კიდევ 37 სერიაა...

„კრემლის ცოლები“ — HTB-ს წინა ისტორიული პროექტი — უფრო ცოცხალი იყო. იქ თუნდაც მწერალი ქალი ლარისა ვასილევა გამოდიოდა. თავს აქნევდა და ცხვირს იჭმუხნიდა. ამასთან ერთად სტალინს აჩვენებდნენ ქრონიკულ კადრებში. კადრები უხმო იყო. ფირი კანკალებდა და მაინც ეჭვი არ გვიჩნდებოდა: მასზე ჩვენ ვხედავდით ცოცხალ ადამიანს. აქ კი, სახელწოდების მიუხედავად, ასეთი რწმენა არ გამჩენია.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

*11.01.07.*

## კიდევ ვინ თამაშობდა სტალინს?



მიხეილ გელოვანი — 40-იანი წლების ოფიციალური საბჭოთა კინოსტალინი. ბელადს თამაშობს ფილმებში „თოფიანი კაცი“, „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“.

ალექსანდრე ზბრუევი. ითამაშა ანდრეი კონჩალოვსკის ფილმში „ახლო წრე“.

ანდრეი კრასკომ მოულოდნელად შეასრულა სტალინის როლი ტელესერიალში „ესენინი“.

მაქსიმ სუხანოვმა გამოსახა ბელადი ანატოლი არბატოვის რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში „არბატის შვილები“.

დუტა სხირტლაძე — იოსებ ბესარიონის ძეს თამაშობდა ამასწინანდელ ტელეფილმში „სტალინის ცოლი“ (ის ნოემბრის დღესასწაულებზე აჩვენესძ.

⊙ საახალწლო ექსპოზიცია

# ნიჭის სიხასხასე

**ახლახან საჯარო ბიბლიოთეკა საინტერესო ფოტოფერწერული ნამუშევრების მასპინძელი გახდა. ხელოვნების მოყვარულთა სამსჯავროზე საკუთარი შემოქმედება ორმა ნიჭიერმა ხელოვანმა, მხატვარმა კოკა გოქსაძემ და ფოტოხელოვანმა — ლევან გორგიჯანიძემ წარმოადგინეს. ასეთი პრეცენდენტი პირველია.**

**ფოტოგრაფიისა და მხატვრობის შერწყმის ნოვატორული ინიციატივა ლევან გორგიჯანიძეს ეკუთვნის. წამოწყებამ გაამართლა — გამოფენა მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო. დამთვალიერებელს საშუალება ეძლეოდა აღექვა სამყარო ორ რაკურსში, შეეგრძნო იგი ობიექტივისა და ფუნჯის მეშვეობით. გამოფენა უსათაურო იყო, ამაშიც გარკვეულწილად თავისუფლება ეძლეოდათ დამსწრეთ — თვითონვე შეემეცნათ ყოველი ნამუშევრის არსი, ეპოვათ მასში ჩადებული განცდები, ამოეხსნათ ალეგორიული გადაწყვეტა და თავადვე მიმხვდარიყვნენ ხელოვანის ჩანაფიქრს.**

ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა კოკა გოქსაძის (ერთ დროს საქართველოს მხატვართა ასოციაციის თავმჯდომარის) მიერ წარმოდგენილი 25 ნამუშევარი, რომლებიც ტილოებზე იყო შესრულებული სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ადგილას. მხატვარი ხშირად იმყოფებოდა მივლინებით იმ დროს არსებულ მხატვართა კავშირიდან სხვადასხვა ქვეყანაში. მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უკვალოდ არ ჩაუვლია, რიგ ნამუშევრებში აისახა: კიევის გარეუბანი, რენე სენეჟი — მოსკოვის გარეუბანი, ყირიმი და სხვა. მათ გვერდით ჰარმონიულად თანაარსებობენ „ვარდების რევოლუციისადმი“ მიძღვნილი ალეგორიული ნამუშევრები. აქვეა მუყაოზე შესრულებული ეტიუდები, ნატურმორტები, ფუნჯის გამოუყენებლად „გაცოცხლებული“ ბეთანია, სიზმარში ნანახი და ტილოზე გადმოტანილი „ოჯახური იდილია“, ენერგოკრიზისის მხატვრისეული აღქმა და სხვა ბევრი საინტერესო ნამუშევარი. ყველა მათგანს თავისი ისტორია აქვს, განსაკუთრებით ერთ ნამუშევარს, რომელიც „ასაკითაც“ დანარჩენებზე „მხცოვანია“ — მხატვრის სტუდენტობისდროინდელი საკურსო ნამუშევარი, შესრულებული პუანტალიზმის მანერით, რომელიც 15 წლის მანძილზე მოპარული და სასწაულებრივად ნაპოვნი იყო.



კოკა გოგსაძე და ლევან გორგიჯანიძე

ყურადღებას კოკა გოქსაძის შემოქმედებაში იპყრობს არა მარტო შესრულების დახვეწილი, ორიგინალური მანერა, არამედ მხატვრობის სიღრმე, მასში ჩაქსოვილი განცდები და ემოციები. ნატიფი პალიტრის ხელოვანი ერთგვარად ასულიერებს ყოველ ნამუშევარს, ამეტყველებს და აცოცხლებს მათ.

რაც შეეხება მეორე „მასპინძელს“ — ფოტოხელოვან ლევან გორგიჯანიძეს — ეს შეფასება მის შემოქმედებასაც უდავოდ ეხება. საკუთარი მრავალრიცხოვანი ფოტოკოლექციიდან მან არსებული ფართის შესაბამისად მხოლოდ 50-ის გამოფენა შეძლო, თუმცა ეს საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ ხელოვანის ნამუშევრების უნაკლობასა და მის მაღალ შემოქმედებით ღირებულებაზე. იგი მიეკუთვნება ფოტოგრაფების იმ კატეგორიას, რომლებსაც ყველა ჟანრში მუშაობა ეხერხება. ყოველი მისი ნამუშევარი უნივერსალური და პერსონალურია. მათგან მხოლოდ ორია ხელოვნურად ინსცენირებული, დანარჩენი კი ბუნებრივი სიტუაციებითაა ნაკარნახევი. ხელოვანი არ არის მხოლოდ ფერადი ან შავ-თეთრი ეფექტების მომხრე, მიაჩნია, რომ პორტრეტი ძირითადად შავ-თეთრი უნდა იყოს, რათა ყურადღება არ გაიფანტოს უმნიშვნელო დეტალებზე და გამახვილდეს მხოლოდ პერსონაზე, ხოლო ბუნება, მაგალითად, ფერადი უნდა იყოს, ბუნერივი ფერებითა და სილაღით აღსავსე.

საკუთარი ფოტოკოლექციის შექმნა ლევან გორგიჯანიძეს 1999 წელს კოლეგის კრიტიკულმა შენიშვნამ გადააწყვეტინა. სწორედ აქედან გაჩნდა სურვილი შეეგროვებინა საკუთარი ნამუშევრები გამოფენისათვის. იდეის „ხორცშესხმა“ იმავე წელს მოხდა. მის ანგარიშზეა 5 გამოფენა თბილისში და 1 — გერმანიაში. მისი აზრით, ეს საუკეთესო საშუალებაა, გაიცნო უამრავი საინტერესო ადამიანი, გაიტანო შენი აზრი, პოზიცია ფართო გარემოში და მიიღო პროფესიული შეფასება.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტად სასიამოვნო ექსპოზიცია იყო საჯარო ბიბლიოთეკაში. ახალი წლის მიუხედავად ორი ხელოვანის ნამუშევართა გამოფენას დამთვალიერებელი არ მოჰკლებია.

**ნინო ბერძნიშვილი**

№ 10. ხუთშაბათი. 18 იანვარი. 2007 წელი.

„თბილისი-ტურიზმი-გართობის" კუთვნილი ტოტალიზატორებიდან და პოკერ-კლუბებიდან, ასევე სამორინე „საქართველოდან" ამოღებულია სტამბური წესით დაბეჭდილი ტოტალიზატორის ასზე მეტი ყალბი ბარათი



## სულთათანა

# ალექსანდრე პაპაშვილი

ქვეყნის ღირსეულ ადამიანთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ღვაწლმოსილი მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება, ცნობილი მფრინავი, საქართველოს ვეტერან მფრინავთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ალექსანდრე (ალიოშა) გიორგის ძე პაპაშვილი.**

ქვეყანამ, საქართველოს ავიატორებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა, ოჯახმა დაკარგა უმაღლესი დონის პროფესიონალი, მისაბაძი პრინციპულობით, კეთილსინდისიერებით და კეთილშობილებით ალსავსე, საქმეში ყოველთვის შეუპოვარი ვაჟკაცური პიროვნება, დაუცხრომელი, ცოცხალი ბუნების, მუდამ ხალისიანი და მოსიყვარულე ადამიანი, დიდებული ოჯახის თავკაცი, ღირსეული მეუღლე, მამა, ბაბუა.



ალექსანდრე პაპაშვილმა პროფესიული და მოქალაქეობრივი ცხოვრების ღირსეული გზა განვლო. იგი დაიბადა 1932 წლის 1 იანვარს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. რიაზანის საავიაციო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1954 წელს. 1963 წელს მან დაამთავრა ულიანოვსკის უმაღლესი საფრენოსნო მომზადების სკოლა, ხოლო 1971 წელს ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში, სადაც გაიარა გზა რიგითი მფრინავიდან 1-ლი კლასის მფრინავამდე. იგი იყო ტუ-104 და ტუ-154 საჰაერო ხომალდების მეთაური, სამთავრობო (სპეციალური) რეისების ხომალდის მეთაური. მის უნიკალურ საფრენოსნო კვალიფიკაციაზე მეტყველებს მთელ საბჭოთა კავშირში 1980 წელს გახმაურებული ფაქტი, როდესაც მან დაღუპვას გადაარჩინა საჰაერო ხომალდი 170 მგზავრით, რომელიც მართვის სისტემების მოშლის გამო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ანალოგიური შემთხვევა ყოფილ კავშირში დაფიქსირებული იყო სულ სამჯერ, აქედან ორი კატასტროფით დამთავრდა.

ა. პაპაშვილს როგორც პილოტ-ინსტრუქტორს დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ავიატორების დაოსტატებისა და ჩამოყალიბების საქმეში. მის მიერ აღზრდილთა რიგებში არაერთი საერთაშორისო და უმაღლესი კლასის მფრინავია.

საფრენოსნო კარიერის დამთავრების შემდეგ ა. პაპაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა მცხეთის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად, მშობლიური სოფლის ქსოვრისის საკრებულოს თავმჯდომარედ, ამავე სოფლის გამგებლად, საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურის სამეურნეო განყოფილების უფროსად და ყველგან მეტად შთამბეჭდავი პროფესიული და საქმიანი კვალი აქვს დატოვებული. განსაკუთრებული მადლიერებით იხსენიებენ მის საქმიანობას მშობლიური რაიონისა და სოფლის მაცხოვრებლები.

ბოლო წლებში სიჭარმაგისა და ავადმყოფობის მიუხედავად იგი ახალგაზრდული ენერგიით, სიცოცხლის დაუცხრომელი სურვილით, ოპტიმიზმითა და რწმენით კვლავ ჩაება მისი საყვარელი სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში. სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო საქართველოს ვეტერან მფრინავთა პროფკავშირების თავმჯდომარე.

მისი წარმატებული და მაღალპროფესიული საქმიანობა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი არის აღნიშნული.

ა. პაპაშვილი მრავალი ღირსებით შემკული, გაბედული, მეოცნებე კაცი იყო და ამ ოცნებათა განხორციელებისთვის ძალაც შესწევდა და უნარიც. განგებისგან მონიჭებული ნიჭიერება, უმაღლესი ზნეობრივი და რაინდული ადამიანური თვისებები განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას. ყველასთვის გაჭირვებაში და დალხინებაში მუდამ ვაჟკაცურად გვერდში მდგომი, არავის არ აკლებდა ყურადღებას და ადამიანურ სითბოს, რისთვისაც მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

ა. პაპაშვილის ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე იგი არ შეიძლებოდა დავრდომილი შეგებებოდა სიკვდილს. ღმერთმაც ასე ინება. მან უეცრად და უშფოთველად დაამთავრა თავისი საინტერესო და ლამაზი ცხოვრება.

თავის ქვეყანაზე და ხალხზე შეყვარებული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის გამორჩეული მუშაკი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, არაერთი ქვეყნისთვის და ხალხისთვის მნიშვნელოვანი საქმის ინიციატორი და შემსრულებელი, ვაჟკაცური თვისებებით და ღირსებებით შემკული ბრწყინვალე კაცი, — ასე იცნობდნენ ალექსანდრე პაპაშვილს და ასეთივე დარჩება იგი მისი მრავალრიცხოვანი კოლეგების, აღზრდილების, მეგობრების, ახლობლების და ნათესავების ხსოვნაში.

ღმერთმა ნათელი დაგადგას წმინდა სასუფეველში ჩვენო საყვარელო, დიდებულო კაცო.

**მეგობრები, ახლობლები**

## ინფორმაცია

# ბესიკ ბარქაია თავს დამნაშავედ არ ცნობს

**ფინანსთა სამინისტროს აზარტული თამაშების რეგულირების სამმართველოს უფროსის ბესიკ ბარქაიასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველი განიხილავს.**

როგორც ადვოკატმა ინგა არახამიამ საუბარში განაცხადა, ბარქაია თავს დამნაშავედ არ ცნობს და იგი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნას არ დაეთანხმება.



ფინანსური პოლიცია შუამდგომლობაში ბარქაიასთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას და მისი თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითხოვს.

ბარქაიას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის I ნაწილით, რაც სამსახურებრივი გულგრილობას გულისხმობს.

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა თბილისში მდებარე შპს „თბილისი-ტურიზმი-გართობის" კუთვნილი ობიექტები, მათ შორის, ოფისები და სამორინე „საქართველო" 15 იანვარს დალუქეს.

„თბილისი-ტურიზმი-გართობის" კუთვნილი ტოტალიზატორებიდან და პოკერ-კლუბებიდან, ასევე სამორინე „საქართველოდან" ამოღებულია სტამბური წესით დაბეჭდილი ტოტალიზატორის ასზე მეტი ყალბი ბარათი.

ამასთან, სამორინეების საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ერეკლე კახნიაშვილისთვის, იუსტინე იოსელიანსა და გიორგი კერესელიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით ფინანსურ პოლიციას სასამართლოსთვის ჯერ არ მიუმართავს.

**ინტერპრესნიუსი**

საქართველოს განათლების, მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის წევრის, პედაგოგიური დარგის თვალსაჩინო მოღვაწის პროფესორ



შოთა არსენიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, იმის გამო რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე, II ჯგ. ინვალიდი, უფროსი ლეიტენანტი, ღირსების ორდენის კავალერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამარ პართენის ასული გოთუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ციალა ნუცუბიძე, მეუღლე დავით ტაბიძე, შვილები გიორგი, ირაკლი, და ნანა ძოწენიძე, დისწულები ლუკა, ლანა ბერულავები, მაზლები თემური, გია ტაბიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ალექსანდრეს ასული ძოწენიძე

პანაშვიდი 18, 19 I, 16 სთ. გამოსვენება 30 I, 14 სთ. მისამართი ვაჟა-ფშაველას V კვარტალი (უნივერსიტეტის სახლი) IV კორპუსი, VI სადარბაზო, მე-4 სართული.

---

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს კომისიის თანამშრომელს ირაკლი ტაბიძეს დედის

რუსუდან ძოწენიძის

გარდაცვალების გამო.

---

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სჰკ ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი

რუსუდან ძოწენიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლები.**

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის მედიცინის დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, საზოგადო მოღვაწე, ა. ჯაფარიძის სახელობის სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმის ყოფილი დირექტორი

ჯუმბერ ჯოჯუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცეკავშირის გამგეობა დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცეკავშირის გამგეობის წევრი, აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის „აჭარკოოპკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული კოოპერატორი, ღირსეული მოქალაქე, საქმეზე და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, საყვარელი მეუღლე, მამა და ბაბუა

შოთა ჭურკვეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნის" თანამშრომლები და ლექტორები გულწრფელად თანაუგრძნობენ კავშირის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო კოორდინატორს ვალერი გურგენიძეს დედის

მერი ვალერიანის ასულ კოპახიძე-გურგენიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის არჩილ ჯიქიას შვილის

ზაზა ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

## მეზობლებთან

# ისევ „მიმინოს" გარშემო



**„სრ"-ის მკითხველს უკვე ვაუწყეთ მოსკოვის ხელისუფალთა გადაწყვეტილების თაობაზე — გიორგი დანელიას უკვდავი ფილმის „მიმინოს" 30 წლისთავზე სურათის გმირებს სატახტოს ცენტრში დაუდგან ძეგლი.**

ჟურნალმა „ოგონიოკმა" გამოაქვეყნა რუსეთელთა გამოხმაურებანი, რომლებიც, ვფიქრობთ, საგულისყუროა.

„ჩისტიე პრუდი (რაიონი, სადაც ძეგლის დადგმაა განზრახული — **„სრ"-ის რედ**.) ინტერნაციონალური გახდება. უკვე არის ყაზახი აბაის ძეგლი, რუსები გრიბოედოვით არიან წარმოდგენილნი. ჯერი ქართველისა და სომეხისაა. რატომაც არა?"

„საინტერესოა, ვის აბითურებენ - რუსებსა თუ ქართველებს? ჩემის აზრით, ამჟამად არცთუ შესაფერისი დროა მსგავსი ექსპერიმენტებისათვის".

„გაუზრდელ და აგრესიულ ადამიანებს ძეგლებით ვერ გადაასხვაფერებ, თუნდაც ათი დადგა... მეორეს მხრივ, ნახეთ, ფრუნზიკი გარდაიცვალა, ლეონოვიც, ვახტანგი ცოცხალია. როგორია, უყუროს სიცოცხლეში აღმართულ ძეგლს. განა ვინმე თურქმენბაშია?

ეგეც არ იყოს, არ მესმის, რა ძეგლები აუტყდათ მოსკოველ ხელისუფალთ? ეს მიმინოო, ეს მანდელშტამიო, ეს ძაღლი მენდელეევზეო... განა ქანდაკებათა რაოდენობა ამშვენებს ქალაქს?"

„კაი ხანია, მოსკოვში არ ვყოფილვარ. რაო, მეტროს სადგურს „ბაგრატიონს" ჯერ კიდევ არ გამოუცვალეს სახელი? ალაზიანის ქუჩასაც? „ბოლშაია და მალაია გრუზინსკაია", „არმიანსკი" შესახვევი ისევ ისე იწოდებიან? ალბათ ეს სოციალური ინტერნაციონალიზმის გადმონაშთებიც ნეგატიურად აისახებიან „ჭეშმარიტად რუს" მოსკოველთა ფსიქიკაზე იმის გახსენებით, რომ ქართველი გენერალი მოსკოვისათვის სწირავდა თავს სამამულო 1812-ში, სომეხი არქიტექტორი კი მოსკოვს დიდ სამამულომდეც აშენებდა და მერეც".

„ლეონოვი ერთ-ერთი ჩემი საყვარელი მსახიობია, მაგრამ მისი ნამცეცა როლი ამ ფილმში ერთ-ერთ მთავარს აშკარად ვერ გასწვდება. მთავარი როლი აქ ორია — მიმინო და რუბიკი. უბრალოდ გაუგებარი იქნება მოსკოვის ცენტრში ძეგლი წამოუჭიმო ორ კავკასიელს სხვა კავკასიელის სურათის გმირებს".

№ 10. ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● კახეთში სულ 81 ბენზინგასამართი სადგურია. თუმცა, როგორც ფინანსურ პოლიციაში ჩატარებული გამოძიებით ირკვევა, სპეციალური ნებართვა მხოლოდ ერთ მათგანს აქვს




## ◎ ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ: ეთერ დავითაშვილი, ნათელა მესტვირიშვილი, მზია შავგულიძე, ლალი ელიზბარაშვილი, ლამარა მილდიანი, ლენინგრადში 1972 წლის სექტემბერში პრაქტიკაზე ყოფნის დროს. სურათი გადაღებულია ცარსკოე სელოს (პუშკინოს) ლიცეუმში, სადაც სწავლობდა დიდი რუსი პოეტი ალექსანდრ პუშკინი.

**მოგვაწოდა ლამარა მილდიანმა**

## ◎ პირველი ნაბიჯი

### გზა დავულოცოთ მომავალ კოლეგებს

**ნებისმიერ ჟურნალისტს რომ ჰკითხოთ, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი სტუდენტობისას – თეორია თუ პრაქტიკა, გიპასუხებთ პრაქტიკაო.**

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ განსაკუთრებული სიხარული მოჰგვარა „მასკის“ (მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის) მეორე კურსის სტუდენტებს პირველი საკუთარი გაზეთის „ჭაშნიკის“ გამოცემამ...

როგორც სარედაქციო განაცხადში თავად წერენ, ეს მათი პირველი ნაბიჯია, მომავალში თანდათან დაიხვეწებიან და შეეჩვევიან მუშაობას, მთავარია, რომ აქვთ სურვილი და შესაბამისი პირობები, თავისი სიტყვა თქვან, რაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

გზა დავულოცოთ მომავალ კოლეგებს!

**„მასკის“ პრესსამსახური**

## ◎ კრიმინალი

### ფინანსური პოლიცია – კახეთში

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველომ კახეთში მდებარე ბენზინგასამართი სადგურების შემოწმება დაიწყო.**

კახეთში სულ 81 ბენზინგასამართი სადგურია. თუმცა, როგორც ფინანსურ პოლიციაში ჩატარებული გამოძიებით ირკვევა, სპეციალური ნებართვა მხოლოდ ერთ მათგანს აქვს.

ამ ფაქტის გამო, ფინანსური პოლიცია კახეთში მდებარე ყველა ბენზინგასამართ სადგურს შეამოწმებს, აცხადებს ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს უფროსი ზურაბ ავაზაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### დააკავეს დოკუმენტების გამყალბებელი

**იმერეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქუთაისელი ინდმეწარმე გიორგი ბანდური დააკავეს.**

იგი დოკუმენტების გაყალბების გზით ათასობით ლარს მალავდა, რის გამოც ბიუჯეტს 158 ათასი ლარი დააკლო.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ ინფორმაცია

### დიდთოვლობა აჭარაში

**შუახევის რაიონის სოფელ პაპოშვილში ცენტრში შეკრებილი ახალგაზრდები ჩამონგრეულ ფარდულში მოყვნენ. ნგრევის შედეგად 17 წლის ფრიდონ ფუტკარაძე გარდაიცვალა.**



ფარდულმა თოვლის საფარს ველარ გაუძლო და ჩამოინგრა. როგორც შუახევის რაიონის გამგებელი ლევან თამადაძე აცხადებს, რაიონში მობილიზებულია ტექნიკა, თუმცა თოვლისა და ქარბუქის გამო სოფლებში მისასვლელი გზების გაწმენდა შეუძლებელია.

* * *

**რამდენიმე დღეა აჭარის მაღალმთიან რაიონებში გადაუღებლად თოვს. ხულოს რაიონში თოვლის საფარმა სამ მეტრს მიაღწია. შიდა სოფლები გარე სამყაროს მოწყვეტილია. ცენტრალურ ტრასაზე მხოლოდ ორხიდიანი მანქანებით არის გავლა შესაძლებელი.**

როგორც ხულოს რაიონის გამგებელი ტარიელ აბულაძე აცხადებს, თუ თოვა მსგავსი ინტენსივობით გაგრძელდა, შესაძლოა, თოვლის საფარი კიდევ უფრო გაიზარდოს.

მისივე თქმით, ხულოს ცენტრში თოვლის საფარმა 2 მეტრს მიაღწია.

* * *

**ხელვაჩაურის რაიონში შავი ზღვის სანაპიროზე არსებული კახაბერის დაბლობზე ძლიერი ქარის შედეგად მრავალწლოვანი ხეები დაზიანდა.**

გვიან ღამით ამოვარდნილმა შტორმა კიდევ უფრო დააზარალა შემოდგომაზე ქარბუქის დროს დაზარალებული რამდენიმე ოჯახი.

### ტყიბულს ელექტროენერგია აღუდგა

**ტყიბულის რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება 10-საათიანი შეფერხების შემდეგ აღუდგა.**

ამ დროისთვის ტყიბულში რვავე ფიდერი სრულად მუშაობს. იმერეთის რეგიონში აღარ თოვს. ერთადერთი მონაკვეთი, სადაც მოძრაობა შეფერხებულია, იმერეთი-რაჭის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◎ ლარის კურსი

**18 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3145 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7137 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2304 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9666 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4702 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3935 ლარი. |

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ◎ კადრი



ბაკურიანი

## ◎ ანეკდოტები

მიდის სვანი ქუჩაში. უცებ სახლის სახურავიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავზე.

სვანმა ქუდი მოიხადა, დაფერთხა და ჩაილაპარაკა:

– ამის დედა ვატირე, უქუდო კაცს თავი ხომ გაუტყდებოდა!



* * *

– მატარებელს ჩამოვრჩი.

– როგორ?

– გონებრივი განვითარებით...

* * *

გენიალურობა ინფექციური დაავადება არ არის და სქესობრივი გზით არ გადაეცემა. ამაში საკუთარი გამოცდილებით სამგზის დავრწმუნდი.

* * *

კითხვა: რა განსხვავებაა სინდისსა და შარდის ბუშტს შორის?

პასუხი: სინდისთან მოლაპარაკება მაინც შეიძლება.

* * *

ქუჩაში ტანაშოლტილი გოგო მიდის. მას მთვრალი ტიპი წამოეწია.

– გოგონი, სად იშოვე ასეთი ლამაზი ფეხები?

– საჩუქრების მაღაზიაში, – შემოტრიალდა გოგო.

– ეს სიფათი იქვე საჩუქრად დაგიმატეს?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.